

საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
№ 10
ოქტომბერი
2008

ეკლესიის რესტავრაცია
ზეიმი ვალეში
გორელების ტკივილი
წმ. პავლე ანტიოქიაში

რედაქციის გვერდი

რესტავრაცია განახლებისა და თვითგანახლებისთვის

ახალი ეკლესიის აგება ქრისტიანული საკრებულოსა და მთელი საზოგადოების ცხოვრებაში ყოველთვის იყო და არის მნიშვნელოვანი მოვლენა. ასეთივე მოვლენად შეიძლება იქცეს ეკლესიის რესტავრაცია; დიდი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებში წარსულის ძეგლთა დაცვა და დაფასება, – როგორცაა სახელმწიფო ნაგებობები: გზები, წყალსადენები, ხიდები, სასახლეები, გალავნები, ასევე რელიგიური ტიპისა, როგორცაა ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, – ყოველთვის, და მით უფრო დღეს, დიდ საპასუხისმგებლო, შრომატევად საქმეს წარმოადგენდა, რაც ზოგჯერ ეპოქის საპირისპიროდ ხდებოდა იმ ერთადერთი მიზნით, რომ გადარჩენილიყო გადასარჩენი, ის ძვირფასი, რითაც ცივილიზაცია აჩვენებს თავის სიდიადეს, არა მარტო წარსულის, არამედ იმ გზას, რითაც იგი იცავს და აფასებს საკუთარი წარსულის დიდსა თუ მცირე ნაშთებს. ამ კუთხით, ეკლესიის რესტავრაცია ნაკლებმნიშვნელოვანი როლი გახლავთ: იგი მოითხოვს წარსულის ცოდნას და მზაობას მის პატივსაცემად, ყოველივე იმის გამომხეურებას, რაც დრო-ჟამმა დაახიანა, დამალა ან წაშალა. მრავალსაუკუნოვანი ძეგლი ატარებს სხვადასხვა შეჭრისა და ჩარევის კვალს, რაც ხშირად იმდენად აზიანებდა ძეგლის პირველსახეს, რომ მისი ხელახალი აღგენა ძნელდებოდა; რესტავრაცია შეიძლება გულისხმობდეს ძეგლის აქტუალური მდგომარეობის შენარჩუნებას და ასევე, თავდაპირველ ფორმაში მის მოყვანას, ანუ იმ ძეგლი ნაშთების წაშლას, რაც ამა თუ იმ ეპოქაში პრობლემის იოლი და სწრაფი გადაწყვეტის ფორმა უფრო იყო, ვიდრე ძეგლზე ზრუნვა, და ეს ხშირად ძალზე ფაქიზი და ურთულესი ოპერაციის გზით სრულდება. თუკი არქიტექტურული თვალსაზრისით რესტავრაცია ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა, არც საეკლესიო მხარეს აკისრია ნაკლები როლი, აქ ხომ ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული სარწმუნოებიდან გამომავალი ელემენტები, დოგმები, მისი კანონები, საკრალურობა, გრძნობები, რაც სულ იოლად იყრის თავს ტრადიციონალიზმსა და უძრობაში; ეკლესიის რესტავრაცია შეიძლება დიდი გამოწვევა იყოს იმ მარადიულ განახლებაში, რისკენაც მოწოდებულია ეკლესია, და ასევე ცალკეული მორწმუნე, თავის მთლიანობაში: ეკლესიის აგება ყოველთვის მიანიშნებს სტაბილურობაზე, საუკეთესო მდგომარეობის მიღწევაზე; ეკლესიის რესტავრაცია კი ხშირად მიანიშნებს გარდამავალ ჟამზე, – პოზიტიური თუ ნეგატიური კუთხით, – როდესაც საზოგადოებას სურს გასცდეს ყოფიერებას ან დაუბრუნდეს ფესვებს ან გადალახოს ის, რაც მის თვალწინ ხდება; რესტავრაცია გვიწვევს განახლებისკენ, იმის მოსაძებნად, რაც დაიფარა ან ჯერ კიდევ დაფარულია; ჩვენს ქვეყანაში, როგორც მართლმადიდებელ, ასევე კათოლიკე ეკლესიაში, რესტავრაცია დიდად მიღებული არაა და ამჯობინებენ

ააგონ ეკლესიები უკვე არსებული მოდელების მიხედვით, რაც გადმოაქვთ ადგილობრივი ტრადიციდან ან სხვა ქვეყნებიდან, სრულიად განურჩევლად. კარგად ვხედავთ თუ როგორ იგება თბილისში ახალი ეკლესიები ძველის ნიმუშზე, არანაირი სიახლე, ამავე დროს კი საქართველოს მრავალ კუთხეში საუკუნოვანი ტაძრები ნგრევის პირასაა მისული, ისევე კარგავენ ქართული ქალაქის ტრადიციულ პირველსახეს მინებით შემოსილი ახალი ნაგებობები, არადა ნამდვილად სამკაულებად იქცეოდნენ, თუკი პირვანდელ სახეს შეინარჩუნებდნენ; ჩანს, რომ გაცილებით ადვილია ძველის დანგრევა და ახლის აგება ან ახალი თვალისმომჭრელი ფასადების ქვეშ ძველის დამალვა. საქართველო ამაყობს მრავალსაუკუნოვანი ისტორიით და რამდენი ძველი დაღადებს ამაზე, მაგრამ ხშირად რა პირობებში და რა სახით! ტრადიციონალიზმი ძალზე ხშირად აისახება წყნარ ცხოვრებაში, აზროვნების გაუსახურებაში და იოლი, ნაკლებ საპასუხისმგებლო გამოსავლის ძიებაში.

ვატიკანის II კრებამ (1962-1965) კათოლიკე ეკლესია ნამდვილი და ძირეული განახლების გზაზე დააყენა, რაც აისახა სამოდერო მრავალფეროვნებაში, თანამედროვე სამყაროსთან დიალოგში, ლიტურგიულ და საეკლესიო ასპექტებში, რაც ნაკლებ იოლი ან ნაკლებ აუცილებელია როდია, ვიდრე ეს სარწმუნოების დოგმების ერთგული დაცვა და ზუსტი ფორმულირებაა: განახლება რისკია, ვინაიდან მას შეუძლია იმ არჩევანის წინაშე დაგვაყენოს, რაც ყოველდღადაუდებელია “სტატუს ქვოს” შესანარჩუნებლად.

ვალეს კათოლიკური ეკლესიის რესტავრაცია, რომელიც აგებულია 1862 წელს, როგორც გარეთა კედელზე შესასვლელი კარის მაღლა არსებული წარწერა ადასტურებს, და რომელიც უფრო ქვემოთ აგებული ადრინდელი ეკლესიის მასალას იყენებს, შეიძლება მივიღოთ საზოგადოების გამოწვევად და საეკლესიო შეწევნად.

სამუშაოები სამიოდე თვის წინათ დაიწყო, თითქოსდა იმ სატელევიზიო გადაცემის ჯიბრზე, რომელიც ჩვენს ეკლესიებს სამხრეთში საშინელ დღეში წარმოადგენდა, და თანდათანობით აჩვენებდა თუ რას ნიშნავდა რესტავრაცია და ამავედროულად განახლება და თვითგანახლება; რთულია რესტავრაციის ჩატარება თუკი არაა განახლების და თვითგანახლების სურვილი; ის რაც გზა და გზა ნგრევიდან იკვეთებოდა, – დაწყებული ქვის იატაკიდან სვეტებამდე, თაღებამდე და მისი ნატიფი არქიტექტურული ხაზებიდან, რაც ასე საგულდაგულოდ იყო დამალული საღებავის ქვეშ, და გუნდის მიერ, რომელიც ნახევარ ეკლესიას ახშობდა, – გახლდათ სურვილი განახლების და იმის შეცნობისა თუ რა და როგორ უნდა განახლებულიყო. ვფიქრობ, რომ ეს ოდითგანდელი ქვებია, იესოს სიტყვებს თუ გავისხენებთ, რომლებიც ასე დაღადებენ ადამიანის ნაღვაწზე და საკრებულოს ცოცხალ რწმენაზე; ვალეს ეკლესია დღითიდღე იკრებდა თავისუფალ სივრცეს, რაც დახმარება იქნება მორწმუნეებისა და საკრებულოსათვის მთელი გულით ადიდონ ღმერთი, სულითა და ჭეშმარიტებით. კარგად მახსოვს თუ რამდენი პიროვნება დარჩა გაოგნებული რვა სექტემბრის დღეს, ღმრთისმშობლის შობის მფარველ დღესასწაულზე, ამ მოულოდნელობით, რამაც ასე მოხიბლა ისინი თავისი უბრალოებითა და ჰარმონიით; ვფიქრობ, რესტავრაციამ მართლაც ნათელი მოჰფინა იმ სრულყოფილ ჰარმონიას, რასაც ბადებს ნაგებობის სხვადასხვა ელემენტების პროპორციული შერწყმა და ამავედროულად, ამ ეკლესიის სადღესასწაულო სისადავე, თავისი დარბაზით, აბსიდით, ჭერით, ასე რომ განსხვავდება მოჩვენებითი გარეგნული გენიალურობისგან. ამ ეკლესიის ამგებნი მართლაც შესანიშნავი მშენებლები ყოფილან.

აჰა, თავისუფალი სივრცე, რომელიც ჭეშმარიტად უთმობს ადგილს ღმრთის ქება-დიდებას საკრებულოს შეკრების გზით; თავისუფალი სივრცე, რომელიც ცენტრში ამყოფებს ღმრთის სიტყვას და უფლის პურს, როგორც ამას

ითხოვს ახალი ეკლესიის აგებისა თუ უკვე არსებულის ადაპტაციის ნორმები. დღეისათვის ცენტრალურ ადგილს იკავებს საკურთხევლის დიდი ქვაკუთხედი: იგი ძალუმად იწვევს მორწმუნეებს თავის ირგვლივ იმ წუთებში, როდესაც სუფრა აღსავლენისათვის იქნება მზად; თითქოს მის ირგვლივ უნდა მოიყაროს თავი ეკლესიის ყველა კომპონენტმა: იერარქიამ, ერისკაცებმა, სასულიერომ და ქრისტიანული ცხოვრების ყველა უმთავრესმა ჟამმა: შობიდან სიკვდილამდე... აქვე დაივანებს წმიდა რელიკვიები, რომლებიც აქ ჯერ კიდევ 1902 წელს იქნა დაცული, როგორც გვატყობინებს ღამაზად ამოტვიფრული წარწერა მის ქვაზე, რომელიც რაღაც დროით გაქრა და განგების ძალით ხელახლა იქნა ნაპოვნი!

დღესდღეობით სიტყვის სერობას თავისი კუთვნილი ადგილი აქვს, რომელიც მორწმუნეთა დასთან არის მიახლოებული, საკურთხეველსა და ემბაზს შორის. რამდენი რამ იქნა დაფარული რესტავრაციამდე (დღეს არ გვინდა ამაზე საუბარი): მაგალითად, იგივე ემბაზი მარცხენა კედელში იყო და ქვემოთ ორნამენტების ნიშნები ჰქონდა, ასევე მასიური სვეტები საინტერესო კაპიტელებით, აქვე აღვნიშნავთ ქვას, რომელზეც ჯვარცმულია ამოკვეთილი და ახალი საქრისტიის მარჯვენა კარებზეა მოთავსებული; ამჯერად ახლებურად მოთავსდა, რვაკუთხედის ფონზე, რომელიც უფლის პასექს მოიგონებს, რითაც დაიწყო მერვე დღე – კვირის ახალი დღე, უფლის დღე და მონათლულთა ახალი ცხოვრება; ამ ემბაზში განათლული ვერანაირად ვერ მიაშურებს სხვა წყაროს და ვერც სხვა წყარო გახდება ამ წყაროს განმსჯელი!

აქვეა ღმრთის სიტყვის უწყებით შეკრული ეკლესიის ორი უმთავრესი საკრამენტისათვის გამოყოფილი ადგილი, რომელთა გარეშე ეკლესიისა და ქრისტიანთა არსებობა შეუძლებელია: ნათლისღება და ევაქრისტია; კარგი იქნებოდა, რომ პერსონალური ლოცვის დროს ეს ორი ალაგი ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისთვის უმთავრეს ხატად მივიღოთ და ასე განვჭვრიტოთ, მათივე არსიდან გამომდინარე, და არ ვწუხდეთ იმაზე თუ რომელ მხარეს დავანთოთ სანთელი ან არ გაგვიტაცოს სხვა რამ უსარგებლო ფიქრებმა!

ასეთივე სულით შეიძლება გავიხსენოთ მირონცხება, როდესაც ეკლესიის ნავისებურ დარბაზს გავცქერით, სადაც ყოველი მორწმუნე თავის ადგილს და თავის მოწოდებას პოულობს, იქნება ეს ერისკაცი თუ მღვდელი, დაოჯახებული თუ დაუოჯახებელი, ახალგაზრდა თუ ბერიკაცი, მამაკაცი თუ დედაკაცი: ეს შეიძლება მიუთითებდეს როგორც ცვლებრანტის ტახტს, რომელიც პრესვიტერიუმის შიდა აბსიდის ნახევარკალზეა განთავსებული, ასევე მორწმუნეთა სკამები, რომლებიც მხოლოდ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიათა შორის განსხვავებაზე კი არ მეტყველებენ ან მოხერხებულად წარმოთქმულ ლოცვაზე, – რაც ხშირად გვესმის, – არამედ იმ განსხვავებულ უესტებზე, რასაც ლოცვა და წირვა გეკარნახობს, სხეულის ყურადღებაზე და ეკლესიაში ყოველი პიროვნების მყოფობაზე.

უფრო მეტ გულისხმიერებას იმსახურებს ის ცვლილება, რამაც აამოქმედა ცენტრალური ფასადის შესასვლელი, რაც ადრე საქრისტიის გამო დაკეტილი გახლდათ; რაოდენ მნიშვნელოვანია ეს უხეში და ბრტყელი ფასადი, რომლის ფონი სანთლებისა და კანდელების კვამლით არის შეფერილი, რომელიც იმ დრომ შემოინახა, როდესაც სრული რელიგიური საკულტო აკრძალვების გამო გარეთ ანთებდნენ სანთლებს, ხოლო ნაგებობა საბძლად იყო გადაკეთებული, რომელსაც მხოლოდ პატარა სარკმელი ანათებდა. საინტერესოა ასევე დაბალთაღიანი ახალი შესასვლელი კარი, რომელიც ბოქლომისა და გასაღების ჩათვლით, ადრინდელის ასლია. დიდები თუ პატარები, მამაკაცები თუ დედაკაცები, რომლებიც ეკლესიას ქმნიან და რომლებიც ყველანი ამ კარიდან გადიან ლოცვა-ვედრების შემდეგ: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტეს გარდა სხვა კარი არ არსებობს, მხოლოდ მას მივყავართ ღმერთთან შესახვედრად, იგი ქმნის ეკლესიას, რომელიც გადაგვარჩენს. ეს მრავლისმეტყველი კანკელია

მიწასა და ცას შორის, შიდა და გარე სამყაროს შორის, რწმენისა და თეოლოგიის გადაშლილი გვერდი, რომელიც ასევე იმსახურებს ჩვენს ყურადღებას.

ჩვენს მზერას იქცევს ასევე სხვა ელემენტები: მარჯვენა მხარეს მოთავსებული ტაბერნაკული, უფლის ხორცისა და სხეულის ნიშის – ნაკურთხი პურის წმიდა სანახი, რომელიც გამოცალკავებულია, რაც სრულიად არ მიუთითებს მის დაბალღირსებაზე, არამედ იმ განსაკუთრებულ პატივისცემაზე, რაც წირვის შემდეგ გრძელდება და აისახება მდუმარე ღოცვაში, თაყვანისცემაში, სნეულთა და უძღვრთა მხრიდან ყურადღებაში. ცენტრალური ჯვარი, რომელიც აშიშვლებს ეკლესიის აბსიდის ზოგიერთ ქვას: რას გვიქადაგებს ჯვარი, თუ არა შემოძარცვას ამაოებისა, ჩვენი რწმენისა და სიცოცხლის არსში ღრმად შესვლას?

მარცხენა კედელზე შემონახულია ღმრთისმშობლის პატარა ქანდაკება, რომელსაც ხელში თავისი ყრმა უჭირავს. შეუძლებელია ეკლესიაში არ იყოს ღმრთისმშობელი, რომელიც თავის დედობრივი ზრუნვით ზეციდან დაიფარავს ეკლესიის ნაბიჯებს, რომელიც მისი მლოცველი მზერის ქვეშ გადაიდგა. ეს ხის ქანდაკება სავარაუდოდ საუკუნის წინათ დამზადდა ავსტრიაში, როგორც წარწერა გვამცნობს, აქვეა წმიდა ნინოს და წმიდა ანდრეა მოციქულის ქანდაკებები, რომლებმაც ჯერ კიდევ უნდა მოძებნონ თავიანთი ადგილი, ასევე საშობაო პრეზენტს და საადღომო დღესასწაულის ღამა-ღამაში სტატუები; ეს პატარ-პატარა შემორჩენილი საგნები მოწმენი არიან ეკლესიის ცხოველუნარიანობისა და მისი მოკრძალებული მემკვიდრეობისა, მათ შორის შემორჩა ბარძიმი, რომელიც 1889 წლით თარიღდება. კიდევ რამდენი ძვირფასი თუ ნაკლებად ძვირფასი საგანი დაიკარგა ამ წლებში (ფეშხუმები, სასანთლებები, წიგნები, სურათები...), ვინ იცის სად გაიბნა, რომელიმე მუზეუმში თუ ოჯახში...

საქართველოში კათოლიკური ტრადიცია, გარდა გამოჩენილი სახელებისა, ღამაში ეკლესიებისა, ძვირფასი ისტორიული, მუსიკალური, არქიტექტურული ტექსტებისა... რომლებმაც საქვეყნოდ მოიხვეჭეს სახელი, გაფრთხილებას და რესტავრაციას იმსახურებს სწორედ ეს პატარა-პატარა უტყვი მოწმენი!

ამ ეკლესიაში ვერ ნახავთ ბევრ სანთლებს, სასანთლებებს, ნათურებს... განათებულია ტაბერნაკული, რომელიც ევქარისტის არსებობას მიანიშნებს, სანთლები ანთია საკურთხეველთან და ნათლობის ემბაზთან დგას საპასეჟო კანდელი, ხოლო ყველაზე მთავარი კანდელი ეკლესიის შუაგულშია, რამეთუ იგი ჩვენი რწმენის ცენტრს შეგვახსენებს: ქრისტეს პასექს, რომელიც აღდგა მკვდრეთით და თავისი ნათლით მიგვიძღვის ჩვენს ცხოვრებაში. და როგორც ეკლესია არის გასხივოსნებული მზის ციკლის ნათებით, რომელიც აწესრიგებს დღეებს, წელიწადის დროებსა და წლებს, ერთი ნათლით, ასევე ცდილობს ახალი ელექტრო-განათება თავისი სინათლე თანაბრად გაანაწილოს, მოიცვას ყველა და ყველაფერი, და გამოკვეთოს წირვის უმთავრესი ადგილები.

ჯერ კიდევ უნდა მომზადდეს ადგილები გუნდისთვის და ცოდვათა აღსარებისათვის; დიდ ყურადღებას იმსახურებს ეკლესიის გარეთა ფონი. მის ირგვლივ აღებული იქნა მიწა, რამაც მეტი სივრცე გამოაჩინა (მე დიდ მწვანე ველზე ვნატრობ), ეს მხოლოდ პრაქტიკული კუთხით არ გაკეთდა, არამედ ასე მთელი სისრულით, სიღიადით და სიღამაზით გამოჩნდა ნაგებობა, რომელიც თითქოსდა აბსიდით გვირგვინდება, რაც ქვით ნაგებობის ნამდვილი სამკაულია, ასეთივე სამკაულია სამწუხაროდ ჯერ კიდევ დაფარული მარჯვენა მხარე და ბოლოს, გალავანიც.

როდესაც ვალეში გახლდით ეკლესიის სამუშაოს სამეთვალყურეოდ, მართლაც ღირდა იმის ხილვა თუ როგორ უვლიდნენ გარს მოხუცები ეკლესიას წირვის შემდეგ და ამბორით ეთაყვანებოდნენ ოთხივ კუთხეს... ხოლო ეკლესიის შიგნით თუ გარეთ ასეთივე დიდი მოწიწებით და სიყვარულით მუშობდნენ

რესტავრაციაზე: ვერ დავივიწყებ მათ, როლებიც ამ თვეების მანძილზე მოხალისეებად ან საზღაურის ფასად შრომობდნენ: კათოლიკეები და მართლმადიდებლები, მორწმუნენი თუ ათეისტები, ახალგაზრდები თუ მოხუცები, ვალეს მორწმუნენი თუ ოზურგეთის, შრომის, ჭიათურის, ბათუმის მრევლის წევრები...; ისინი შრომობდნენ მაშინ, როდესაც ვალელები მთაში იყვნენ საძოვრებზე გასულები, ამ შორმაში თავისი წვლილი შექონდათ ოჯახებს საჭმელ-სანოვაგით ან საჭირო სამუშაო მასალით; განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ეპისკოპოსს, რომელმაც ამ სამუშაოსთვის ფინანსები მოიძია; მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა თავი დაანება ახლად დაწყებულ სამუშაოს, მუშაობა არ გაჩერებულა. მუშაობდნენ მაშინაც, როდესაც სხვაგან ხალხი იძულებული გახდა საკუთარი ეზო-კარმიდამო, ოჯახები დაეტოვებინა და ომში წასულიყო; სამუშაოები არ შეჩერებულა, არა იმიტომ რომ ნაკლებად აღელვებდათ ის რაც ცხინვალში, გორში, ზუგდიდში ხდებოდა, არამედ გულით, გონებით... და ღოცვით იყვნენ განწყობილნი არცთუ შორსმყოფთა მიმართ, უსმენდნენ საომარ ადგილზე მყოფთა მონათხრობს, ჩერდებოდნენ საეჭვო თვითმფრინავების ხმაზე; მუშაობდნენ, მაგრამ შეიძლებოდა სამუშაოები გაცილებით ადრე დამთავრებულიყო, სხვებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა.

დაიკეტა ეკლესიის შესასვლელი მარჯვენა მხარეს და ეკლესიას ჩამოშორდა ცენტრალურ ფასადზე მიბჯენილი პატარა ოთახი, ნაგებობას ახალი ფრთა შეემატა საქრისტიანთან, მარჯვენა მხარეს, წინამძღვართა ორ სამარხსა და მოძღვრის ძველ საცხოვრებელს შორის, სწორედ იქ, სადაც უკანასკნელ ხანს უხარისხო შესასვლელი იყო ქართული წარწერით; ყველაფერი გაკეთდა ნაგებობის ძირითადი სტილის დაცვით. იმედი გვაქვს, სამუშაო წარმატებული გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო.

ვალეში, ისევე როგორც სხვაგან (თბილისში, ბათუმში, ახალშენში, რომლის ეკლესიას კურთხევიდან ათი წელი უსრულდება და უკვე მორწმუნეთა მიერ მიტოვებული გეგონება, ასევე ხიზაბავრაში, ვარგავში...) ნამდვილად ლამაზი ეკლესია არის, მას ორი მღვდელი ემსახურება, ერთ-ერთი მათგანი ქართველია. სხვა საკრებულოები კი ჯერ-ჯერობით ელიან თავიანთი ეკლესიის რესტავრაციას (მაგ., ქუთაისის, გორის, ახალციხის, ივლიტასი, უდესი...) ან ახლის აგებას (მაგ., ჭიათურის, შრომის...), ან მღვდლის სტაბილურ ყოფნას (ბათუმი, ოზურგეთი, გორი, ასევე სტამბოლის ღმრთისმშობლის ეკლესია...).

რამდენი და რაოდენი წყალობა და პასუხისმგებლობა!

რესტავრაცია იმისათვის, რომ განვაახლოთ და თავად განვახლდეთ: აი, ეს არის ის სურვილი, რაც შეიძლება დაიბადოს ამ ადგილიდან და ამ სამუშაოდან, იმისათვის, რომ გვქონდეს უფრო ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება, უფრო აქტიური საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრება, უფრო მეტი ყურადღება ხელისუფლების მხრიდან იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ყოველდღიურად ამოწმებენ ქრისტიანობას თავიანთ ეკლესიასთან და რომის პაპთან უწყვეტ ზიარებაში, სხვა ეკლესიებთან და რელიგიებთან კონსტრუქციული დიალოგის ძიებაში, რაც დღეს ასე რთული და მიუღებელია, და რომლებიც იღვწიან ახალი სამართლიანი საზოგადოების ასაგებად და დგანან გაჭირვებულთა მსახურებაში.

მამა გაბრიელე ბრავანტინი

წმ. პავლეს წელი

მამა პიერ დიუმულენი

აღმდგარი ქრისტეს მომლოცველი

1. ანტიოქია - “ქრისტიანთა” ქალაქი

ანტიოქია - რომისა და ალექსანდრიის შემდეგ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ქალაქია, რომლის მოსახლეობა ნახევარ მილიონს შეადგენს. ქალაქი თხუთმეტი კილომეტრის სიგრძის გალავნითაა დაცული და საოცარი სილამაზით გამოირჩევა. “სირიის კარიბჭე”, როგორც მას უწოდებენ, განლაგებულია ცენტრალური ქუჩის გარშემო, რომელიც მაღალი სვეტნარითაა გარშემორტყმული. ანტიოქია - ხმელთაშუა ზღვისპირეთის ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია, სიცოცხლით სავსე, ხმაურიანი. აქაური მაცხოვრებლები დროს მეტწილად ქუჩაში ატარებენ. ისინი ბაღებისა და სვეტებიან კარიბჭეთა ჩრდილს აფარებენ თავს და გულითად საუბარს მიეცემიან.

ანტიოქიის ადგილმდებარეობამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას, რამაც ქალაქს დიდი სიმდიდრე მოუტანა: ახლომდებარე ბეკაას მდელოები მთელ ანტიკურ სამყაროს პურით უზრუნველყოფს. სწორედ აქ დასახლდნენ იუდეველები, ისინი სრული მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობდნენ: ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე IV საუკუნის ბოლოს, ქალაქის დაარსებიდანვე, ეგვიპტის პტოლომაიოსის დინასტიის მეტოქეებმა - სელევკიდებმა - მათ ამ ქალაქში დამკვიდრება შესთავაზეს. იუდეველთა აყვავებული სათვისტომო მისიონერობის კერად იქცა. უამრავი ბერძენი მოიქცა უფლისაკენ. ახლადმოქცეულები ცოდნისკენ მიილტვიან, რაც სასიკეთო ნიადაგს ქმნის ევანგელიზაციისთვის. სტეფანეს მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ პალესტინიდან გამოქცეული პირველი ქრისტიანები - “ელინისტები” - სწორედ ასეთ გარემოში აღმოჩნდნენ. ისინი ბევრნი არიან და მოსახლეობის ყურადღებას იპყრობენ, იმ ხალხისა, ვინც პირველ ქრისტიანებს დაცინვით “პატარა ქრისტეები” ან “ქრისტეს მომხრენი” უწოდა, ბერძნულად “christianoī” (სწორედ აქედან წარმოიშვა სიტყვა “ქრისტიანი”). სულ მალე ადგილობრივი საკრებულო ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება, როგორცაა იერუსალიმის საკრებულო.

სიტუაციის გასაკონტროლებლად მოციქულები ანტიოქიაში თავიანთ ემისარებს აგზავნიან. მათ რიცხვს ბარნაბაც ეკუთვნის. სახელი ბარნაბა “ნუგეშისცემის ძედი ითარგმნება” (საქმე. 4, 36). იგი - მდიდარი ლევიანია, წინასწარმეტყველი, მისი სიტყვა ყველასათვის გასაგები, უბრალო და შთამბეჭდავია.

“როდესაც მივიდა და იხილა ღვთის მადლი, გაიხარა და ყველას შეაგონებდა, წრფელი გულით დარჩენილიყვნენ უფალში; ვინაიდან იგი კეთილი კაცი იყო, სულიწმიდითა და რწმენით აღსავსე... წავიდა ტარსუსში სავლეს სამეზნელად და ნახა იგი, და ანტიოქიაში მოიყვანა. მოუხდათ მათ, რომ მთელ წელიწადს იკრიბებოდნენ ეკლესიაში, ასწავლიდნენ დიდძალ ხალხს...” (საქმე. 11, 23 - 26).

პავლე და ბარნაბა ეკლესიებში ასწავლიან, იმავდროულად მუშაობენ კიდევ, რათა ლუკმა პური იშოვონ და სხვას მძიმე ტვირთად არ დააწვენ. ორივე ქორწინებაზე უარს ამბობს და საკუთარ ცხოვრებას სახარების მსახურებას უძღვნის. ორივე - მისიონერია და ბევრი არაფერი სჭირდებათ. ისინი თავისუფალი და გულდია ადამიანები არიან.

ახლადმოქცეულთა შორის მდიდრებიც გვხვდებიან, მაგალითად, თეოფილე - წარმატებული ვაჭარი, სავარაუდოდ, ის ადამიანია, ვისაც მიმართავს ლუკა მახარებელი. სწორედ ეს “მდიდრები” შესაძლებელს ხდიან ანტიოქიისა და იერუსალიმის საკრებულოებს შორის ურთიერთობა დამყარდეს, ხოლო პავლესა და ბარნაბას მეშვეობით შიმშილის ჟამს იერუსალიმის საკრებულოს სერიოზულ ფინანსურ დახმარებას უწევენ. ანტიოქიაში დაბრუნებისას წარგზავნილებს თან მოჰყავთ პეტრეს მეგობარი ახალგაზრდა იოანე, მარკოზად წოდებული.

ადგილობრივი ეკლესიის წინამძღვრები (მათ შორის პავლე და ბარნაბა) გადაწყვეტილების მიღებამდე ლოცვისთვის იკრიბებიან. ”როცა ისინი უფალს ემსახურებოდნენ და მარხულობდნენ, თქვა სულიწმიდამ: ”გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმეზე, რაზეც მათ მოვუწოდე.” მაშინ იმარხულეს, ილოცეს, ხელები დაასხეს მათ და გაუშვეს” (საქმე. 13, 2-3).

2. პირველი მისია, პირველი ქარიშხლები

ამრიგად, გაემგზავრნენ ისინი ”სული წმიდის მიერ მივლინებულნი” (საქმე. 12, 4). ჯგუფს ბარნაბა ხელმძღვანელობს, მას პავლე ეხმარება, ხოლო მარკოზი მეორეხარისხოვანი როლით კმაყოფილდება. ყოველივე ეს, სავარაუდოდ, 45 წელს ხდება. მაგრამ ისინი პირველი მისიონერები როდი არიან. პეტრეს უკვე მოუწია მცირე აზიის ტერიტორიის გადაკვეთა, ალბათ კორინთოშიც ნამყოფია. თორმეტი მოციქული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაემგზავრა, ყველა თავისი გზით. ჩვენი მეგობრების პირველი მიზანი - კუნძული კვიპროსია, მაგრამ, როცა სულიწმიდა გიძღვება, ვერასდროს გაიგებ საით წახვალ და სად აღმოჩნდები.

თავიდან ყველაფერი მარტივად ეჩვენებათ: კვიპროსი - ბარნაბას სამშობლოა, მას აქ ბევრი ნათესავი და მეგობარი ჰყავს. მოგზაურები საპორტო ქალაქ სალამისის ნაპირზე გადმოდიან და გეზს კუნძულის დასავლეთ სანაპიროსკენ იღებენ, სადაც ქალაქი პაფოსი მდებარეობს. აქ ხვდებიან მოგვს, ცრუწინასწარმეტყველ ბარიესუსს, რომელიც პროკონსულ სერგის-პავლესთან, ”გონიერ კაცთან,” იმყოფება. პროკონსულს სურს ღმრთის სიტყვის მოსმენა. წინ აღუდგა მათ მოგვი, მაგრამ პავლეს სიტყვით ”მყისვე დაეცა მას ჯანდი და სიბნელი”. განცვიფრებულმა პროკონსულმა ირწმუნა (შდრ. საქმე. 13, 5-12). შესაძლებელია, სწორედ ამ მოქცევის შემდეგ სავლე თავის თავს პავლედ მოიხსენიებს. სავარაუდოდ, პროკონსულმა მათ ”საჭირო მისამართები” გადასცა მცირე აზიასა და გალატიაში მოგზაურობის გასაგრძელებლად. ამის შესახებ არაფერია ცნობილი. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ სულიწმიდას მიჰყავს ისინი ახალ მხარეებში, ამჟამად პამფილიაში. მაგრამ მარკოზი უარს ამბობს მოგზაურობის გაგრძელებაზე, ”ჩამოშორდა მათ და იერუსალიმში დაბრუნდა” (საქმე. 13, 13). პავლე განრისხებულია. იგი ფიქრობს, რომ ამგვარი საქციელი შიშითა და სულმოკლეობითაა გამოწვეული.

უნდა ითქვას, რომ პავლე და ბარნაბა იუდეველთათვის საკმაოდ სახიფათო ადგილას მიემართებიან: პისიდიის ანტიოქია ანატოლიის პლატოს ტერიტორიაზე მდებარეობს. პავლეს ქადაგების შედეგად აქ ახალი საკრებულო ჩამოყალიბდა. თავად ანტიოქიაში საკრებულოს წევრები ძირითადად წარმართები არიან. ისინი მოციქულებს უსმენენ და ”...ადიდებდნენ უფლის სიტყვას, და ყველამ ირწმუნა, ვინც საუკუნო სიცოცხლისათვის იყო განწესებული” (საქმე. 13, 48). აქაც, პისიდიის ანტიოქიაში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, სადაც პავლე ქადაგებს, წარმატებამ აიძულა იგი გაქცეოდა განრისხებულ იუდეველებსა და ქალაქის მმართველებს... მაგრამ მოწაფეები სიხარულითა და სულიწმიდით არიან აღვსილნი.

ცხოვრების გზა გრძელდება: მოქცევას დევნა ენაცვლება. იკონია, ლუსტრა, დერბე - ქალაქი გალატიის საზღვართან... როდის შედგება პავლეს შეხვედრა გალატელებთან - ეხლა თუ მომავალში? ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარებს სხვადასხვა აზრი გააჩნიათ. მომხდარი სასწაული ყოველ ეტაპზე ღმრთის სიტყვას განამტკიცებს. ლუსტრაში კოჭლის განკურნებამ გაუგებრობა გამოიწვია. ”ხალხმა რომ დაინახა, თუ რა მოიძოქმედა პავლემ... თქვა: ღმერთები ადამიანებს დაემსგავსნენ და

ჩვენთან ჩამოვიდნენო, და უწოდეს ბარნაბას ზევსი და პავლეს - ჰერმესი, ვინაიდან პავლე უფროსობდა სიტყვაში” (საქმე. 14, 11-12).

ჰერმეს ტრისმეგისტის მეტაფიზიკური ტრადიციის მცოდნესთვის ჰერმესთან ასოციაცია შემთხვევითი როდია: ამ ტრადიციის მიმდევართა შორის ბევრი მათგანი ქრისტიანობის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ლუსტრელებს ერთმანეთში აერთიანებდა მეტაფიზიკა და რელიგია, ხოლო ზევსის ქურუმებმა მსვლელობაც კი მოაწყეს, შესაწირ ხარებს გვირგვინებითა და გირლანდებით ამკობდნენ და მსხვერპლშეწირვისთვის ემზადებოდნენ. თავისი რწმენისა და სიტყვის ძალით მხოლოდ პავლეს შეეძლო დაერწმუნებინა ხალხი იმაში, რომ საჭიროა ამ მკრეხელობის თავიდან აცილება. რამდენიმე დღის შემდეგ პავლეს მისია დასრულდა - მას ქვები დაუშინეს, ”ჩაქოლეს და ქალაქგარეთ გაათრიეს, რადგან მკვდარი ეგონათ. როცა მოწაფეები გარს შემოეხვივნენ, წამოდგა და წავიდა ქალაქში” (საქმე. 14, 19-20).

დაბრუნებისას პავლე და ბარნაბა ახლად შექმნილ საკრებულოებში ”ამხნეებდნენ მოწაფეთა სულებს და შეაგონებდნენ, მტკიცედ მდგარიყვნენ რწმენაში” (საქმე. 14, 22). ისინი ატარებენ სისტემატურ კატეხიზაციას, რაც მტკიცე საფუძველს უყრის აპოსტოლატის ახალი ცენტრების ჩამოყალიბებას. ბოლოს ატალიაში ჩერდებიან, შემდგომში სირიის ანტიოქიაში ბრუნდებიან. მოგზაურობა ოთხ წელიწადს გრძელდება, ხოლო პავლე და ბარნაბა ამ დროის განმავლობაში დაახლოებით ათასს კილომეტრს გადიან.

სირიის ანტიოქიაში მოგზაურთა მონათხრობს დიდი ინტერესითა და სიხარულით უსმენენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მრავალმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. სავალდებულოა თუ არა ახლადმოქცეულთათვის იუდაური წესების შესრულება? ზოგი მოითხოვს ამ წესების დაცვას. პავლე და ბარნაბა საპირისპირო პოზიციებზე დგანან. საკითხის გადასაწყვეტად მოციქულებს მიმართავენ. იერუსალიმში გამგზავრება პავლესა და ბარნაბას დაევალიათ. ისინი წარსდგნენ პეტრეს, იაკობისა და პრესბიტერების წინაშე და უამბეს მათ თავისი მოგზაურობის შესახებ. ეს არის ქრისტიანული ეკლესიის პირველი ”კრება”, რომელიც შთამომავალთათვის ”იერუსალიმის კრების” სახელწოდებითაა ცნობილი. ანტიოქიაში გაგზავნილი წერილი, რომელიც პირველ საეკლესიო დოკუმენტს წარმოადგენს, შემწყნარებლობის სულისკვეთებითაა გამსჭვალული: ”მართებულად მიმაჩნია სულიწმიდამ და ჩვენც, რომ არავითარი ზედმეტი ტვირთი არ დაგაკისროთ, გარდა იმისა, რაც აუცილებელია” (საქმე. 15, 28).

ე. წ. ”ანტიოქიის ინციდენტს,” სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა პავლესა და ბარნაბას ანტიოქიაში დაბრუნების შემდეგ, პეტრეს იქ ჩასვლის დროს. პეტრე საჭმელს მიირთმევდა სხვა ქრისტიანებთან ერთად, განურჩევლად მათი იუდაური თუ ბერძნული წარმოშობისა. მაგრამ ყველაფერი იცვლება მაშინ, როდესაც ანტიოქიაში ჩამოდიან იაკობის გარემოცვაში მყოფი ქრისტიანები, რომლებიც იერუსალიმში იუდაური წესების დაცვას განაგრძობენ. პეტრე თვლის, რომ ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მათ და ჩამოშორდეს ”წარმართთ.”

”როცა კეფა ანტიოქიაში მოვიდა, მე წინ აღვუდექი მას საჯაროდ, ვინაიდან მასზე საჩივარი იყო. ვინაიდან, ვიდრე ზოგიერთები მოვიდოდნენ იაკობისაგან, წარმართებთან ერთად ჭამდა, ხოლო მათი მოსვლისთანავე დაიწყო ჩამოშორება და განზე გადგომა წინადაცვეთილთა რიდით. მასთან ერთად პირფერობდნენ სხვა იუდეველებიც, ისე, რომ, ბარნაბაც კი ჩაითრია მათმა პირფერობამ. მაგრამ, როცა დავინახე, რომ ისინი სწორად არ მიჰყვებიან სახარების ჭეშმარიტებას, ყველას

თანდასწრებით ვუთხარი კეფას: თუ შენ, იუდეველი, წარმართივით ცხოვრობ და არა იუდეველივით, აბა, წარმართებს რაღად აიძულებ-მეთქი, რომ გაიუდეველდნენ?” (გალ. 2, 11-14).

მოგვიანებით პავლე დაწერს:

”ვინაიდან პური ერთია, ჩვენ კი მრავალნი - ერთი სხეული, რადგან ყველა ერთი პურიდან ვეზიარებით” (1 კორ. 10, 17).

გავიდა ზაფხული. პავლე არ ივიწყებს მცირე აზიაში დაარსებულ საკრებულოებს. მას სურს იქ დაბრუნება. ბარნაბა თავისი ნათესავის, მარკოზის, წაყვანას აპირებს. პავლე წინააღმდეგია: მას კარგად ახსოვს მარკოზის განდგომა კვიპროსიდან პისიდიის ანტიოქიაში გადასვლის დროს. ”ჩამოვარდა უთანხმოება და ისინი დასცილდნენ ერთმანეთს. ბარნაბამ თან წაიყვანა მარკოზი და გაცურეს კვიპროსამდე. ხოლო პავლემ სილა აირჩია და გაემგზავრა, ძმათაგან უფლის მადლს მინდობილი” (საქმე. 15, 39-40).

გადმოცემის მიხედვით მარკოზი ალექსანდრიაში გაჩერდა. აქ მას, როგორც კოპტური ეკლესიის დამაარსებელს, შემდგომში დიდ პატივს მიაგებენ. პავლე სილას თანხლებით თავის მშობლიურ ქალაქ ტარსუსში გაემგზავრა.

ფრანგულიდან თარგმნეს

ალექსანდრა მარგველაშვილმა და მანანა სულაძემ

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

დღესასწაული ვალეში

8 სექტემბერი ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულია. ეს დღე ყველა ქრისტიანისათვის განსაკუთრებულია. წელს ვალე გალამაზებულ და ახლადგარემონტებულ ეკლესიაში შეხვდა თავისი ეკლესიის დღესასწაულს (უკვე სამი თვეა, რაც რემონტი მიმდინარეობს).

დილიდანვე ეკლესიასთან მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი. ჩვენთან სტუმრად იყვნენ და ჩვენს ზეიმს იზიარებდნენ სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, არაღის, ახალციხის, ივლიტის, უდეს, ხიზაბაგრის და სხვა სოფლების საკრებულოების კათოლიკენი. მამა არტურ გარბეცკი თბილისიდან გვეწვია თავისი მრევლის წევრებთან ერთად. ამ დღეს ჩვენთან ერთად დღესასწაულობდნენ მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯი, მამა აკაკი ჭელიძე, მამა იეჟი შიმეროვსკი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მონაზვნები: ანა მარია და ლორედანა. აგრეთვე წმ. ნინოს ორდენის მონაზვნები, რომლებმაც ახალციხეში სულ ახლახანს დაიმკვიდრეს. ზეიმს ესწრებოდნენ დიაკვანი მიხეილ სურმაგა და სემინარისტები.

აღსანიშნავია, რომ მოხალისე ახალგაზრდებმა დიდი შრომა გასწიეს ვალეს ეკლესიაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებში და ახლაც, ამ ზეიმში სასურველი სტუმრები იყვნენ. ვსარგებლობ შემთხვევით და მთელი სოფლის სახლით დიდ მადლობას ვუხდით მათ, გარჯისა და შემართებისათვის.

წმიდა წირვას მამა გაბრიელე ბრაგანტინი უძღვებოდა მამა ზურაბ კაკაჩაშვილთან და მამა მაჩიე მამაისთან ერთად.

ვალეს ეკლესიის მგალობელ გოგონათა გუნდმა თავისი მშვენიერი გალობით კიდევ უფრო გააღამაზა ეს დღე. ღმრთისმშობელს ყველანი ერთხმად შევთხოვდით საქართველოში მშვიდობისათვის, ლტოლვილებისა და გარდაცვლილებისათვის.

იმედია, ღმერთი შეისმენს ჩვენს მხურვალე ლოცვას და მომავალ წელს ვაღუეს ეკლესიის დღესასწაულს შევხვდებით, როგორც მთლიანი და მშვიდობიანი საქართველოს შვილები.

თამარიკო ჩიტაძე

ომის მძიმე დღეები გორში

საქართველოში არავის დაგვაგიწყდება 2008 წლის აგვისტო, განსაკუთრებით ჩვენ, გორელებს. სახლიდან გაქცევა გაურკვეველი მიმართულებით, შეშლილი სახეები და შემდეგ დაცლილი ქალაქი. მიტოვებული სახლები, დამსხვრეული ფანჯრები, დანგრეული კორპუსები. ორი კვირის განმავლობაში სახლიდან შორს ყოფნა და ფიქრი გაუთავებლად: დაებრუნდებით? ამ წუთებში ალბათ ყველა ჩვენგანის თვალწინ კინოფილმივით გაიარა მთელმა ცხოვრებამ. როგორ გვიცხოვრია, რა გვიკეთებია სულისათვის სარგო, თორემ ყველაფერი მატერიალური რომ წარმავალია ჩვენი თვალთ ვნახეთ: თუ როგორ შეიძლება ერთ წუთში ნანგრევებად გაქცეს მთელი ცხოვრების მანძილზე შრომითა და ჯაფით შექმნილი ქონება და დოვლათი და არა მარტო დოვლათი, არამედ ადამიანის სიცოცხლეც კი.

ალბათ ჯერ ბევრი რამ ჰქონდა მოსასწრები ჩვენი საკრებულოს წევრს, 21 წლის გიორგი მამუკაშვილს, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს დაცვას. მან ახალგაზრდა მეუღლე და მცირეწლოვანი გოგონა დატოვა ამქვეყნად.

იმ დღეებში დაიღუპა აგრეთვე ჩვენი მრევლის წევრის ეთერ ბაზაშვილის სიძე, რომელიც ის-ის იყო უნდა გამოსულიყო სახლიდან, როდესაც სახლს ბომბი დაეცა და ნანგრევებად აქცია იგი.

ამ მძიმე წუთებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არსად წასულან მთელი ამ დღეების განმავლობაში, მათ შორის, ვინც დიდი სტრესი, შიმშილი და შიში გადაიტანეს, იყო რეგინა რაძევიჩეცაძე. გორელები იხსენებენ თუ როგორ დაუდგა მათ მხარში მართლმადიდებელი და ასევე, კათოლიკე ეკლესია, უცხოური ორგანიზაციები და მთელი მსოფლიო.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ამ მძიმე დღეებში მამა ვლადიმერის ყურადღება: ის ყველასთან რეკავდა, გვამხნეებდა და ჩვენთვის ლოცულობდა.

დიდი დახმარება გაგვიწია წეროვანის სასულიერო სახლმა, რომელმაც რამდენიმე ოჯახი მიიღო და ყურადღებას არ აკლებდა ამ მძიმე დღეებში, რაზეც დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს.

ამჟამად გორში მუშაობს „საქართველოს კარიტასი“, სადაც 15-მდე მოხალისე თავდაუზოგავად შრომობს. ისინი მუშაობენ კერძო სექტორში მოთავსებულ ლტოლვილებთან, დადიან ოჯახებში, აკეთებენ აღწერას და შემდეგ საკვები პროდუქტებით ეხმარებიან მათ.

ღმერთი მოწყალეა, იმედია მალე დამთავრდება ომი ჩვენს ქვეყანაში და მშვიდობა დაისადგურებს.

დაე, უფალი შეეწიოს ყველა ქველმოქმედს და მოხალისეს, რომლებიც თუნდაც ელემენტარული ყურადღების გამოსატვით გვერდში უდგანან გაჭირვებულ ხალხს.

ნატალია ალავერდაშვილი

„ცოცხალი სავარდი“

„ცოცხალი სავარდის“ შესრულების ტრადიცია დაიბადა 1826 წელს. მისი დამაარსებელი იყო ღმრთის მსახური პაუმანა ჟარიკოტი, რომელსაც სურდა სავარდზე ლოცვით დახმარებოდა ევანგელიზაციის საქმეს და ქცეულიყო რწმენის გამავრცელებლად მთელს მსოფლიოში.

„ცოცხალი სავარდის“ შექმნისას გამოყენებული იქნა შემდეგი სისტემა: თითოეული ჯგუფი 15 წევრისაგან შედგებოდა, რაც შეესაბამებოდა სავარდის 15 საიდუმლოს.

მას შემდეგ, რაც წმიდა მამა იოანე პავლე მეორე თავის სამოციქულო წერილში – „Rozarium Verginis Mariae“ – ითხოვდა სავარდის ლოცვებში დაემატებინათ „ნათლის“ საიდუმლო, ცოცხალი სავარდის ვარდი 20 კაცისაგან შედგება.

„ცოცხალი სავარდის“ თითოეული წევრი ვალდებულია სავარდზე წაიკითხოს ერთი ათეული პაპის ინტენციისა და იმ პრობლემებზე, რომლებიც თავს იჩენენ სამრევლოში.

წმ. პეტრესა და წმ. პავლეს თბილისის კათოლიკურ სამრევლოში შექმნილია სავარდის ორი ვარდი. უკვე 5 წელია 40 ადამიანი ლოცულობს უწმიდესი პაპის ინტენციებისათვის. ყოველი თვის პირველ კვირა დღეს ხდება ცოცხალი სავარდის საიდუმლოებების გაცვლა. ჩვეულებრივ, ყველა ვარდი იკრიბება სამრევლო დარბაზში, სადაც ვმსჯელობთ ჩვენს საკრებულოში არსებულ პრობლემებზე, აგრეთვე განვიხილავთ ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

აღსანიშნავია, რომ საერთო ლოცვები გვეხმარება ღმრთის საიდუმლოებების უკეთ შეცნობაში, გვასწავლის ვიცხოვროთ სხვებისათვის. „ცოცხალი სავარდის“ წევრები, როგორც ქრისტეს სულიერი და-ძმები, დებენ აღთქმებს, ეხმარებიან ერთმანეთს ყველა ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში.

ამჟამად ჩვენი სამშობლო დიდ განსაცდელშია. ჩვენ, სავარდის ყველა წევრი, მოუწოდებთ ყველას, ვისთვისაც სულ ერთი არ არის ჩვენი ქვეყნის ბედი, გავერთიანდეთ მშვიდობის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ერთობლივ ლოცვებში.

სვეტა შავერდაშვილი

ანიმატორი წყვილები წეროვანში

ისევ შეივსო წეროვნის სასტუმრო სახლი სხვადასხვა საკრებულოების ოჯახებით, 9-იდან 15 ივლისამდე, ანიმატორთა მოსამზადებელი კურსის საბოლოო შეხვედრისთვის.

ორწლიანი მოსამზადებელი კურსი დასასრულს მიუახლოვდა და ამასთან ერთად გაიზარდა ანიმატორი წყვილების პასუხისმგებლობის გრძნობაც, რადგან დადგა დრო, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ეკლესიის მსახურებაში ჩავაყენოთ და სხვადასხვა საკრებულოების ოჯახურ და დასაქორწინებულ წყვილებს გაუზიაროთ. დაიბეჭდა პირველი ნაწილი ანიმატორებისთვის მომზადებული სახელმძღვანელო წიგნისა, რომელშიც შესულია ის მასალები, რაც ამ ორი წლის მანძილზე იქნა დამუშავებული. წიგნები გადაეცათ წეროვანში მყოფ წყვილებს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო შემდგომი მუშაობისთვის. თუმცა ურთიერთობისა და მუშაობის გეგმა ყველა საკრებულოსთვის ინდივიდუალურად იქნება შემუშავებული. დამასრულებელი შეხვედრების მთავარი თემა გახლდათ: „ოჯახი და მისი აღმზრდელობითი როლი“.

ოჯახი პირველი და შეუცვლელი აღმზრდელობითი გარემოა – ასე განსაზღვრა მამა ჯუზეპემ წყვილებთან შეხვედრაზე აღზრდის საკითხში

ოჯახის მთავარი როლი. მან თანმიმდევრულად და ზუსტად ჩამოაყალიბა აღზრდის მთავარი მიმართულებები და გზები, რომლებიც ჭეშმარიტების ძიებაში მიემართება და სამ ძირითად კითხვაზე ითხოვს პასუხს: რა უნდა ვიცოდეთ? რა უნდა გავაკეთოთ? და რისი იმედი შეიძლება მქონდეს? ანუ ადამიანის აღზრდა დაკავშირებულია იმ კულტურისა და ტრადიციის, რეალობის აღქმასა და გაგებასთან, რომელშიც ის იბადება.

მამა ჯუზეპემ ისაუბრა რელიგიური აღზრდის მნიშვნელობაზეც, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რელიგიური აღზრდა უპირველესად ადამიანის იესომდე მიყვანაა.

„ქრისტიანული ყოფის დასაბამი ეთიკურ გადაწყვეტილებას ან დიად იდეას კი არ ეფუძნება, არამედ შეხვედრას მოვლენასთან, უმაღლეს პიროვნებასთან, რომელიც ახალ თვალსაწიერს და ამასთან ერთად, გადამწყვეტ მიმართულებას ანიჭებს ცხოვრებას“ (ბენედიქტე XI, ღმერთი სიყვარულია).

ამ თემას შემდეგ შეხვედრაში ანვითარებს მამა იეჟი „რწმენაში შვილების მთავარი აღმზრდელნი“. ის აღნიშნავს, რომ ცოლ-ქმრული სიყვარული, თავის მიძღვნა მაგალითი ხდება მათი შვილებისთვის და ოჯახის მომავალი თაობების ურთიერთობებში გამოვლინდება.

მან ასევე ისაუბრა დღეს ევროპაში გავრცელებულ ე. წ. „სინგლების“ კულტურაზე. სადაც ადამიანები ცხოვრობენ მარტო, არავენ არ სჭირდებათ და თავს კარგათ გრძნობენ. მამა იეჟის აზრით ასეთმა ადამიანმა არ იცის როგორ მიუძღვნას თავი სხვას და არ ძალუძს, რომ ღმრთისგან მინიჭებულ მადლს ხორცი შეასხას.

პაპი ბენედიქტე XVI ამბობს, რომ აღზრდის მიზანია მორალური პრინციპების ჩამოყალიბება, რომლებსაც ნათლობისა და ქორწინების საიდუმლოთი ვეზიარებით. მშობლები ამ საიდუმლოებებით მონაწილეობენ შვილების რელიგიურ აღზრდაში და ეს ერთგვარ საშვს წარმოადგენს ამ გზაზე. სტუმარი, რომელმაც ისაუბრა თემაზე „ჯანსაღი გარემო ოჯახში“ გახლდათ ფსიქოლოგი „მწვანე სახლიდან“ ინგა გუჯაბიძე. ის შეეხო ბავშვის სწორად ფორმირებისთვის აუცილებელ ხელშემწყობ პირობებს, მშობლებთან ურთიერთობის და სიყვარულის დეფიციტით გამოწვეულ პრობლემებს. ისაუბრა აუტიზმით დაავადებულ ბავშვებზე და განიხილა კონკრეტული შემთხვევები. „კომუნიკაცია, ძალადობა, კონფლიქტები ოჯახში“ იყო დამასრულებელი შეხვედრის თემა, რომელიც შემოგვთავაზა თბილისის „კარიტასის“ ბავშვთა ცენტრის ფსიქოლოგმა დალი ლითანიშვილმა. მან კონფლიქტი განიხილა, როგორც სოციალური მოვლენა, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება – ქარბორბალა საწყისით და მზარდი განვითარებით. ასევე ისაუბრა კონფლიქტთან გამკლავების, დარეგულირების, მისი განეიტრალების ჩვევების გამომუშავებაზე.

წეროვანში ანიმატორი წყვილების შეხვედრების დაგეგმვასა და პროგრამის შედგენაზე მუშაობდა საოჯახო პასტორალური კომისია ინერ-საქართველოს მონაწილეობით და მამა იეჟი პილუსის ხელმძღვანელობით, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. ეს კურსი ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა თავად ანიმატორების ოჯახების სულიერი ზრდისთვის და დიდი იმედი გვაქვს, რომ მათი მუშაობა კეთილ ნაყოფს გამოიღებს საკრებულოებშიც და კიდევ უფრო გააძლიერებს კათოლიკურ ოჯახებს რწმენასა და სიყვარულში.

ნანა ნებიერიძე

როგორც მრავალთათვის არის ცნობილი, ჩვენი სამოციქულო ადმინისტრაციის უშუალო მხარდაჭერით საოჯახო პასტორალური კომისიის ბაზაზე მოქმედებს სიცოცხლისა და ოჯახის დაცვის სამსახური – „Iner Georgia – წყვილისა და სიცოცხლის სამსახური“, რომელიც მართალია თავის საქმიანობას ქალაქ ქუთაისში ახორციელებს, მაგრამ მხოლოდ ლოკალურად როდი შემოიფარგლება. კომისიას არაერთი დახმარება აღმოუჩენია სხვადასხვა საკრებულოს ოჯახებისათვის და ახალგაზრდა დედებისათვის, რომლებიც პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ექვსწლიანი გამოცდილება და სტატისტიკური აღრიცხვა, რასაც ჩვენი სამსახური ახდენს, გვაჩვენებს, რომ საქართველოში ოჯახის მდგომარეობა ძალზე ნელი ტემპით იცვლება უკეთესობისკენ, კვლავ დიდია უმუშევართა რიცხვი, როგორც ზრდასრულის ასევე ახალგაზრდის, გაიზარდა მარტოხელა დედების რიცხვი, ამას ემატება უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილ მოზარდთა რიცხვი, რომლებიც დიდ დროს ქუჩაში ატარებენ, რის გამოც ისინი ძალზე ხშირად დიდი სიძნელეების წინაშე დგებიან. ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია დედათა და ბავშვთა პრობლემები, ამ მიზნით იმართება „მშობელთა სკოლა“ ბენეფიციარი დედებისათვის, რომელთა რიცხვი 35-მდე აღწევს, მათ შორის უმრავლესობა მრავალშვილიანი ან მარტოხელა დედა გახლავთ. ineri-ის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი სახის პროექტები: ოჯახის ბუნებრივი დაგეგმვის მეთოდის კურსები, „მშობელთა სკოლა“, „მოზარდთა სქესობრივი აღზრდა“, პედიატრის საუბრები ჩვილბავშვიან დედებთან „ძუძუთი კვების მნიშვნელობაზე“. მსურველებს შეუძლიათ ასევე, მიიღონ უფასო კონსულტაციები ფსიქოლოგთან, გინეკოლოგთან, იურისტთან, პედიატრთან. ეწეობა აქციები სიცოცხლის დღესთან დაკავშირებით, რომელშიც ჩვეულებრივ ყველა საკრებულოს ვიწვევთ. ჩართულები ვართ იმ პროგრამაში, რომელსაც კატეხისტური კომისია აწეობს მოზარდებთან და ახალგაზრდებთან, ისეთ საკითხებზე როგორცაა „მოზარდის ემოციონალური განვითარება“, „გარდატეხის ასაკი და ფიზიოლოგიური ცვლილებები“, „მოზარდის ფსიქიკური ცვლილებები“, „ქორწინება და ოჯახი“, „სიყვარული და პასუხისმგებლობა“.

ineri საოჯახო პასტორალურ კომისიასთან ერთად ორგანიზებას უკეთებს საზაფხულო კამპო-სკოლას ოჯახებისათვის და ანიმატორებისათვის.

ინერმა ჩვეული რიტმით განაახლა მუშაობა. გვინდა ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ ყოველი წყვილის და ოჯახის პრობლემა ჩვენთვის ახლობელია. ძალზე მტკივნეული იყო ჩვენთვის ის ტრაგედია, რომელიც ომმა დაატრიალა საქართველოში და კერძოდ გორში, რომელმაც იმსხვერპლა გორის საკრებულოს წევრი, კამპოსკოლა – 2006-ის ერთ-ერთი მონაწილე გიორგი მამუკაშვილის სიცოცხლე, მას ხუთი თვის პატარა დარჩა, რომელსაც სჭირდება ჩვენი დახმარება. აქვე, სამიძიმარს ვუცხადებთ მის მეუღლეს ინას, მისი ოჯახის წევრებს და მათთან ერთად განვიცდით ამ ტრაგედიას.

კარგად გვესმის თუ რამდენი პრობლემა დაატყდათ თავს დევნილებს, რომელთა შორის არიან ორსული ქალებიც, მათ სჭირდებათ ჩვენი თანადგომა და დახმარება. ჩვენ მზად ვართ გუღთან მივიტანოთ ნებისმიერი გამოხმურება, რისთვისაც ყველას გიწვევთ ჩვენთან სათანამშრომლოდ და საურთიერთოდ.

ineri-ს ჯგუფი

**13 სამრევლოში CRS-ის დახმარებით
21 პროექტი განხორციელდა**

12 სექტემბერს, თბილისში, „კარიტაის სახლში“ ჩატარდა CRS-ის პროექტების შემაჯამებელი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ქ-ნი ნინო

ფუთურიძე – CRS-იდან, ქ-ნი ნაზი კვარჩია – „საქართველოს კარიტასიდან“, პროექტის უშუალო კოორდინატორი ქ-ნი ნანა კუხალაშვილი და მონაზონი ლორედანა მონეტი, ასევე წარმომადგენლები სხვადასხვა სამრევლოებიდან.

ზოგადად იქნა მიმოხილული CRS-ის მიერ სამხრეთ კავკასიაში და კონკრეტულად, საქართველოში ჩატარებული ტრენინგები, შემუშავებული და განხორციელებული პროექტები. სადაც მათი რიცხვი პროცენტულად ყველაზე მაღალია. სულ 13 სამრევლოში სამი ტენდერის შედეგად მოწონებული და დაფინანსებული იქნა 21.

ჩატარდა 2008 წლის პროექტების პრეზენტაცია და ნაწილი, კერძოდ, სამხრეთ საქართველოში მოქმედი პროექტების შეფასების ფილმის სახით ჩვენება, რომელიც სამრევლოებთან შეხვედრით იწყებოდა და მოხალისეთა თავდადებული შრომის ნაყოფით მთავრდებოდა.

სამუშაო დღის მეორე ნახევარი მთლიანად CRS-ის სავიზიტო ბუკლეტის ვიზუალური და შინაარსობრივი მხარის შექმნას დაეთმო.

გადაწყდა ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორიცაა: რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ბუკლეტის შექმნა, რა სახის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მკითხველს, როგორი უნდა იყოს ლოგო და სხვ.

ქ-ნი ნინო ფუთურიძემ ყველას მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოსთვის. მანვე სინანული გამოთქვა, რომ 2009 წლის პორიზონტზე CRS აღარ იკვეთება და იმედი დაიტოვა, რომ დონორი ორგანიზაციებით და შესაბამისად მოძიებული თანხებით ისევ მოგვეცეს მცირე ბიუჯეტის პროექტების განხორციელების საშუალება.

მადლობა CRS-ს, მადლობა „საქართველოს კარიტასს“, რომ მათ მოგვეცეს ცოდნა, გამოცდილება და საშუალება, რათა სამრევლოებში მოხალისეთა მიერ განხორციელებული პროექტები კვლავაც იდგნენ ხალხის სამსახურში.

**ნინო კლენტი
ნანა მიზანდარი**

ლილი

ცხოვრებაში იშვიათად შეხვდებით ისეთ მოკრძალებულ ადამიანს, როგორიც წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის ორგანიზტი ლილი მელიქ-მარუტოვაა.

ჩვენს შორის ინტერვიუ არ შემდგარა, უფრო მეტიც, მან არ იცის თუ მის შესახებ წერილი იწერება, რადგან, დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგი იქნებოდა.

ლილის დიდი ხანია ვიცნობ და საკმაოდ კარგადაც. რამდენჯერმე სურათის გადაღებაც ვცადეთ, რათა ამ წერილისათვის დაგვერთო, მაგრამ მგონი მიხვდა და თავი აგვარიდა – ობიექტივს დაემალა. რა გაეწყობა, ვაქვეყნებთ წერილს მისი ნებართვის გარეშე. შეიძლება ეწყინოს, მაგრამ... გაუგლის, სამაგიეროდ მრევლის დიდი ნაწილის სურვილს ავასრულებ.

ლილი მორწმუნე ოჯახიდანაა, მუსიკის ნიჭიც მემკვიდრეობით გამოჰყვა. ლილის დედა – ქალბატონი ნინო კარგი მუსიკოსი იყო.

ეკლესია ცოცხალი, სულიერი ორგანიზმია. იგი მუდმივად ვითარდება. ყოველი განვითარების წინა პირობა კი წარსულის ხსოვნა, პატივისცემა და მის საძირკველზე მყარად დაყრდნობაა. ეკლესიის ცხოვრების ყველა სფეროში არიან როგორც სიახლეების შემომტანი, ასევე ტრადიციების დამცველი ადამიანები, რომლებიც ერთნაირად საჭირონი არიან მისი სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. დროის ამ

კავშირს ახორციელებს ხალხი, წიგნები, გადმოცემები, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა.

წმ. პეტრესა და წმ. პავლეს მუსიკალური ტრადიციების დამცველად გვევლინება ორგანიზტი ლილი მელიქ-მარუტოვა.

ლილის გასაოცარი, კომპიუტერული მეხსიერება აქვს. საკმარისია „ლილაკს თითი დააჭირო“, ე. ი. შეეკითხო ჩვენი ეკლესიის ცნობილ და საყვარელ საგალობლებსა და სიმღერებზე, წირვის ამა თუ იმ მონაკვეთის ჰიმნებზე, ფსალმუნებსა თუ ალილუიებზე (ქართულ, ლათინურ, რუსულ ენებზე) პასუხს იმ წუთასვე მიიღებ საგალობლების კრებულში არსებული ნომრის დასახელებით.

ლილის ახსოვს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც არსად არ არის ჩაწერილი და არსებობს მხოლოდ ეკლესიის უფროსი თაობის მეხსიერებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამავე დროს, იგი ადვილად ითვისებს ახალ მუსიკალურ „ქროლვას“, აქტუალურად მონაწილეობს ლიტურგიის სხვადასხვა რგოლების დამაკავშირებელ მუსიკალურ დამუშავებაში.

თუ არა ასეთი მაღალი პროფესიონალიზმი, მას ძალიან გაუჭირდებოდა ისეთ მომთხოვნ და მაღალ პროფესიონალთან მუშაობა, როგორც ამ ეკლესიის გუნდის ხელმძღვანელი, ქალბატონი კარინა ოსიპოვაა. მან არ დაიშურა ლილის მისამართით ხოტბა-დიდება და მისეული შეფასებები ამ წერილშიც გამოვიყენე.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ორი „პრეტეზიული“ მუსიკოსის ხელში ჩაგარდნილი მგალობელთა გუნდი მოკლე ხანში ღირსეულ კოლექტივად ჩამოყალიბდება.

ნადია ჩიტაძე

თეოლოგია

კავშირი ბიბლიასა და ლიტურგიას შორის

ა.წ. ოქტომბერში შედგება ეპისკოპოსთა სინოდის XII გენერალური ასამბლეა. სინოდის თემაა: „ღმრთის სიტყვა ცხოვრებაში და ეკლესიის მისიაში“. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა მიმოგვეხილა ის ზოგიერთი ბიბლიური და ლიტურგიული კავშირი, რაც ვატიკანის II კრების დოკუმენტში „*Sacrosanctum concilium*“-შია (SC) წარმოდგენილი.

დოკუმენტი მე-7-ე პარაგრაფში პირველად საუბრობს წმიდა წერილსა და ლიტურგიას შორის კავშირზე. დოკუმენტის ამ ნაწილში ძირითადი თემა გახლავთ ქრისტეს მყოფობა ეკლესიაში, კერძოდ კი, ლიტურგიულ ქმედებაში. ჩამოთვლის რა ლიტურგიაში ქრისტეს მყოფობის სხვადასხვა ფორმას (ღმრთისმსახური, რომელიც ევქარისტიას უძღვევა, ევქარისტულ სიმბოლოებში, საკრამენტებში...), კრება აცხადებს, რომ მათ შორის არის სიტყვა, „რამეთუ იგია (ქრისტე), რომელიც საუბრობს იმ ვამს, როდესაც ეკლესია წმიდა წერილს აცხადებს“.

სწორედ ამ პირველ მინიშნებას ვპოულობთ SC-ს მე-7 პარაგრაფში, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას თუკი ლიტურგიაში ბიბლიის გაცხადების შეცნობა განგვიზრახავს. უპირველესად, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ბიბლიის გაცხადება სრულიად ბუნებრივი რამ არის ლიტურგიისთვის. ხოლო შემდგომ აშკარად აჩვენებს ლიტურგიაში ბიბლიის გაცხადების განსაკუთრებულ ხასიათს. ლიტურგიულ დასში ბიბლიის „კითხვის“ კონკრეტული ქმედებით და ბიბლიური სიტყვის კვლავინდებური გაუღერებით

ესაუბრება დღეს ქრისტე თავის ეკლესიას. სწორედ ამ ცოცხალ სიტყვაშია ქრისტე.

წმიდა წერილი და ლიტურგიული რეფორმა (SC 24)

SC-ის 24-ე პარაგრაფი უშუალოდ ეხება ბიბლიურ და ლიტურგიულ კავშირს. ეს დოკუმენტის ის ნაწილია, რომელიც ძირითადად ლიტურგიულ რეფორმაზე საუბრობს (*De sacrae liturgiae instauratione*).

აქვე, კრების ეს კონსტიტუცია ლიტურგიული რეფორმის ფუნდამენტურ პრინციპს გვაწვდის: ლიტურგიამ, რომელიც შედგება უცვლელი და შესაძლოდ ცვალებადი ნაწილისაგან, რეფორმა უნდა განიცადოს ტექსტებსა და რიტუალებში, რათა მორწმუნე ხალხს საშუალება მიეცეს მასში „სრული, აქტიური და სამრევლო თანამოხიარეობით“ ჩაერთონ.

იმ უმთავრეს ნორმებს შორის, რომელიც ლიტურგიის ამ „ფრთხილ რეფორმას“ ახლავს თან, დოკუმენტი გამოკვეთს ბიბლიასა და ლიტურგიას შორის კავშირს. SC საუბრობს ლიტურგიაში ბიბლიის „უკიდურეს მნიშვნელობაზე“, რამეთუ მისგან, სხვადასხვა ფორმით გამომდინარეობენ არა მარტო ბიბლიური საკითხავები, რაც ლიტურგიაზე გაცხადდება, არამედ ლოცვები და რიტუალები მთელი „თავისი სურნელითა და სულით“. კრების სწავლების მიხედვით, ლიტურგიული ცერემონიალი, მთელი თავისი კომპონენტებით, წმიდა წერილიდან გამომდინარეობს.

ამ მოსაზრების საფუძველზე, რომელიც ბიბლიასა და ლიტურგიას შორის კავშირს აღიარებს, SC მხოლოდ ბიბლიური საკითხავების გაცხადებას როდი ემყარება, იგი ერთმანეთს აკავშირებს რეფორმის სამუშაოს და ლიტურგიულ ადაპტირებას და წმიდა წერილის ცოცხალ ცოდნას. ამასთან დაკავშირებით დასძენს, „იმისათვის, რომ წახალისდეს წმიდა ლიტურგიის რეფორმა, განვითარება და ადაპტაცია, აუცილებელია ცოცხალი და შეგნებული ცოდნა გვქონდეს წმიდა წერილზე, რომელსაც ამოწმებს როგორც აღმოსავლური ასევე დასავლური წმიდა ტრადიცია“. კრება მთელი ძალისხმევით აცხადებს, რომ ცოცხალი და შეგნებული ცოდნა წმიდა წერილზე „აუცილებელია“ ლიტურგიის რეფორმისათვის. ანუ, საუბარია არა რაიმე ნებაყოფლობითზე, არამედ აუცილებელზე: ადეკვატური ბიბლიური ფორმაციის გარეშე, როგორც ეგზეგეტიკური, ასევე სულიერი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ლიტურგიული რეფორმა ვერ იქნება სათანადოდ გადმოცემული და ნოყიერ ნიადაგს ვერ იპოვის ეკლესიის ცხოვრებაში. აქ საუბარია იმ ძირითად პრინციპზე, რომელიც გაუთიშავად კრავს ბიბლიურ და ლიტურგიულ ფორმაციას.

წმიდა წერილის ცოდნა და „ცოცხალი და შეგნებული“ კითხვა სამრევლოსა და ცალკეული მორწმუნეების მხრიდან სწორედ ის ნიადაგია, რომელზეც ლიტურგიული რეფორმა და მისი ადაპტირება მოხდება და ნაყოფს გამოისხამს. კრების აზრით ეს „აუცილებელი“ გზაა!

რიტუალი და სიტყვა – სიღრმისეული კავშირი (SC 35)

თუკი SC ბიბლიასა და ლიტურგიას შორის კავშირს ეხება ლიტურგიული რეფორმის ძირითად ნორმებში, კრების კონსტიტუცია იგივე თემას მაშინაც იმეორებს, როდესაც უფრო კონკრეტულ ხაზს ანვითარებს. კერძოდ, 35-ე პარაგრაფში აჩვენებს ღრმა კავშირს რიტუალსა და სიტყვას შორის. ამის საფუძველზე იქვე ჩამოთვლის ზოგიერთ შედეგს, რაც რიტუალურ რეფორმას მოყვება. პირველ ადგილზე (35,1) იგი გვიჩვენებს, რომ განვეწყოთ იმისათვის, რათა „წმიდა წერილი უფრო უხვად, უფრო მრავალფეროვნად და სათანადოდ

წავიკითხოთ“. ამ პრინციპს ლომის წილი უდევს ლექციონარულ რეფორმაში, როგორც ექპარისტის, ასევე ჟამთა წირვისთვის. მეორე ადგილზე (35,2), რაც შეეხება ლიტურგიაზე ქადაგების საკითხს, SC გვიჩვენებს, რომ ქადაგება რიტუალის *სისხლხორცეული ნაწილი* იყოს, ჰქონდეს ზუსტად განსაზღვრული ადგილი და „უწინარესად წმიდა წერილსა და ლიტურგიის წყაროს ეწაფებოდეს“. მესამე ადგილზე (35,3) გვთავაზობს „უფრო ლიტურგიული სახის“ კატეხეზებს. და ბოლოს (35,4) სასურველია ღმრთის სიტყვის აღნიშვნა „დიდღესასწაულთა ცისკარზე, ადვენტისა და დიდმარხვის ზოგიერთ დღესასწაულზე, კვირადღეებსა და დღესასწაულებზე“.

ამავე პარაგრაფში, ბიბლიასა და ლიტურგიას შორის კავშირი ამ უკანასკნელის დიდაქტიკურ მნიშვნელობაზე დაყრდნობით არის განხილული. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ორაზროვნება ანუ ისეთ ლიტურგიაზე ფიქრი, რომელსაც დიდაქტიკური მიზანი ექნება, სწორედ ისე როგორც ეს კატეხეზებს ახასიათებთ. დიდაქტიკურ მიზანს ლიტურგია მისთვის დამახასიათებელ ფორმაში გადმოსცემს – ანუ წირვაში. „ლიტურგიაზე ღმერთი თავის ხალხს ესაუბრება და ქრისტე კვლავ აუწყებს თავის სახარებას; ხალხი, თავის მხრივ, ღმერთს გალობითა და ლოცვით უპასუხებს“. ლიტურგია არის ფორმაციის ადგილი, რადგანაც მასში ყოველთვის ახლებურად ხორციელდება დიალოგი, „კოლოქვიუმი“ ღმერთსა და კაცობრიობას შორის (33). სწორედ ამ კუთხით ახალისებს კრების დოკუმენტი ღმრთის სიტყვის აღნიშვნას.

ექპარისტიაში და ჟამთა წირვაზე

lineamenta, რომელსაც ეპისკოპოსთა სინოდი ამზადებს, „თავის ყურადღებას გამორჩეულად ამახვილებს ლიტურგიაში ღმრთის სიტყვასთან შეხვედრის ნებისმიერ ფორმაზე: ექპარისტიაში (საკვირაო), საკრამენტებში, ქადაგებაში, ლიტურგიულ წელიწადში, ჟამთა წირვაზე, სახალხო მოწიწების სხვადასხვა ფორმებში, მისტაგოგიურ კატეხეზებში“. ჩვენ მხოლოდ ექპარისტიაზე და ჟამთა წირვაზე შევჩერდებით.

რაც შეეხება ექპარისტიას, SC 48-ე პარაგრაფში, – ხოლო უფრო მკაფიოდ 51-ში, – საუბრობს წმიდა წერილის გაცხადებაზე. როდესაც ეს პარაგრაფი ექპარისტიაში მორწმუნეთა მიერ „რიტუალისა და ლოცვების“ გზით აქტიურ მონაწილეობას ეხება, დასძენს, რომ ამგვარი მონაწილეობა გულისხმობს „ღმრთის სიტყვაში გათვითცნობიერებას“. ექპარისტული წირვა (პურის გატეხვა), – როგორც ლუკას სახარების ორი ემაუსელი მოწაფე აღიარებდა მას, – იმ ადგილად იქცევა, სადაც თვალებს წმიდა წერილის შესაცნობად და აღმდგარის ასაღიარებლად ახევენ“.

ამდენად, დოკუმენტი მიიჩნევს, რომ წმიდა წერილის ასეთი შეგნებული მიღება ლიტურგიაში მონაწილეობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. 51-ში სრულად აღიქმება ის, რაც ზოგადად ითქვა 35,1-ში, განმტკიცებულია ის აზრი, რომ წირვის ლექციონარი იმგვარად უნდა იყოს მომზადებული, რომ „უფრო ფართოდ წარმოაჩინოს ბიბლიის საუნჯე, იმგვარად, რომ ამა თუ იმ წლის მანძილზე, მრევლს წმიდა წერილის საუკეთესო ნაწილი წაეკითხოს“. ეს გახლავთ ის პრინციპი, რითაც შეიქმნა *ლექციონარი*, რომლის დადებითი მხარე დღეს ყველას შეგვიძლია შევაფასოთ.

რაც შეეხება ჟამთა წირვას, SC ბიბლიასა და ლიტურგიას შორის კავშირზე საუბრობს 92-ე პარაგრაფში. კრება ამასთან დაკავშირებით შემდეგს დასძენს: „წმიდა წერილის საკითხავი იმგვარად იყოს დალაგებული, რომ საღმრთო სიტყვის საუნჯე მეტი სიუხვით იყოს წარმოდგენილი და ადვილად ხელმიწასვლომი“. როგორც ზემოთ დავინახეთ, დოკუმენტი იმ აუცილებლობაზე საუბრობდა, რომ მეტი მრავალფეროვნებით მომხდარიყო ექპარისტიაზე ბიბლიის

საუნჯეთა გამჟღავნება (51). უფრო ღრმა და სრული კავშირი წმიდა წერილთან უამთა ლიტურგიის შემთხვევაშიც უნდა იყოს, მისი მეშვეობით უნდა მოხდეს სრულყოფილი წაკითხვა და უფრო სიღრმისეული შეცნობა ბიბლიისა, როგორც მორწმუნეთა, ასევე სასულიერო პირთა და მწყემსთა მხრიდან. დოკუმენტის 90-ე პარაგრაფი მკაფიოდ უსვამს ხაზს კითხვის მსახურების რეფორმას და იქვე დასძენს, რომ უნდა შემცირდეს ფსალმუნთა რიცხვი და გრძელი საკითხავების არჩევა, და ეს კანონიკური უამი ძირითადად დაეთმოს საკითხავებს, რომელიც წმიდა წერილის ლოცვის თანხლებით შესრულდება.

კრების დოკუმენტის ამ მიმოხილვიდან შეგვიძლია გამოვყოთ ბიბლიასა და ლიტურგიას შორის ფუნდამენტური კავშირი, როგორც ეს ჩაიფიქრა და შემოგვთავაზა კრებამ. ეპისკოპოსთა სინოდის *lineamenta* ჯერ კიდევ ადაპტირების პროცესშია ეკლესიათა მხრიდან.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ინტერვიუ

ჩვენ არ გვიბრძოლია, ასე რომ, არ დავმარცხებულვართ

ისინი თავიანთ თავს კოდორის ხეობლებს უწოდებენ. მათ ყველგან გამოარჩევთ, ისინი ახლები არიან. მზერა ნაღვლიანი და მომლოდინე აქვთ. მიმსვლელებს იმედით შესცქერაინ, დაპირებების ჯერ ისევ სჯერათ და ხშირად წინასწარაც იხდიან მადლობას.

თავისთვის ნაკლებად ითხოვენ, უფრო ბავშვებზე და მოხუცებზე სწუხან და იქ, მათ წილ საქართველოში, ხეობაში დარჩენილ სახლ-კარზე, როგორც ცოცხალ არსებებზე ისე დარდობენ. თუმცა ხშირად ყოფითი პრობლემა ამ დარდს ღრობით ავიწყებთ. მათთან საუბარი ერთდროულად ძალზე მძიმე და ძალზე იოლია. ქალაქის ლტოლვილთა ათივე დასახლებაში ერთნაირი გვარები და სოფლები ხშიანდება. მათ მონატრებას პტიში, ჩხალთა, აჟარა, დენწვიში, საკენი ჰქვია. ბევრს სიტყვას ვერ დააცდევინებ, ზოგი კი მზად არის ყოველ კითხვაზე გიპასუხოს.

წინასწარ რაიმე ინფორმაციას თუ ფლობდით, რომ თქვენი სოფლები დაიბომბებოდა?

ოთხვანი ფატიმა 61 წლის – არა, არავითარი ინფორმაცია არ იყო, თორემ ხეობა სავსე იყო მანქანებით და ასე ცარიელ-ტარიელი არ წამოვიდოდით, მტერს ჩვენ ნაწვალებს ასაოხრებლათ არ დავანებებდით.

თქვენი აზრით დამარცხების მთავარი მიზეზი რა იყო?

გვირგვლიანი დიმისკა 71 წლის – ჩვენ არ გვიბრძოლია, ასე რომ, არ დავმარცხებულვართ. თუმცა იარაღი რომ გვქონოდა ასე იოლად არ დავთმობდით, 15 წელი ვიცავდით ხეობას. ჰო, მაშინ იარაღი გვქონდა და იმიტომ, შეიძლება ვერც გავუძლებდით საჰაერო დაბომბვებს, მაგრამ სადმე შევინიღებდით და სახმელეთო ბრძოლებს მაინც მოვიგებდით.

მაღე დაბრუნების თუ გჯერათ?

გურჩიანი ლალი 30 წლის – როგორ არ გჯერა, იქ ხომ ჩვენი ხეობა გვიცდის. ჩვენმა შვილებმა ისევ იქ უნდა გააგრძელონ ცხოვრება, თუმცა ისევ რომ არა მათი დაუცველობის შიში, დღესვე წავიდოდით, ხელშეუხებლობის გარანტები გვჭირდება, რომ მშვიდი ცხოვრება შევძლოთ, ვინაიდან ჩვენი ხეობა ყველაზე კარგია, ერთადერთია მთელ საქართველოში სადაც არც ბაღს, არც სათბურს მორწყვა არ სჭირდება. ყველა ოჯახს ფუტკარი გვყავდა, 3-4 სული მეწველი ძრიოხა დაგვიდიოდა, არც საჭმელი გვაკლდა და არც სასმელი.

როგორი ყურადღებაა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან?

გურჩიანი ალმა 35 წლის – ყურადღება როგორ არ არის, მაგრამ ჯერჯერობით საკმარისი არაა. არ გვეოფნის საწოლები, ბავშვებისთვის საკვები და ხილი, მაცივრები, გაზის ბალონები, ჩაიდნები და სხვა ჭურჭელი. საზამთრო ჩასაცმელი და, რაც მთავარია, არ გაგვაჩნია თანხა, რომ ბავშვებისათვის მეორადი სასკოლო სახელმძღვანელოები შევიძინოთ.

გურჩიანი რუსულანი 61 წლის – მამაკაცები მონდომებულნი არიან რაღაც გამოიმუშაონ, თუმცა მხოლოდ ისევ იქ ხეობაში ჰქვსებზე თუ შეძლებენ სამუშაოს პოვნას, ეს კი საშიშია და არც სურვილი გვაქვს.

დაუსრულებელივ შეიძლება მათთან საუბარი, თუმცა ყველა მათ გასაჭირს ერთი სიტყვა – ხიზანი აერთიანებს. ყველაზე მეტად გზის სიძვირე აჯავრებთ. ათას ადგილზე არიან მისასვლელნი სიებისა და საბუთების მოსაწერივებლად და ზოგიერთმა შეიძლება კუთვნილი მინიმუმიც კი დაკარგოს მგზავრობის საფასურის უქონლობის გამო.

რას წერენ უცხოეთში

ავგისტოს თვეში საქართველოში მომხდარი მოვლენების ფონზე საინტერესოდ გვეჩვენა იტალიურ გაზეთში ერთი თვით ადრე გამოქვეყნებული სტატია, რომელსაც „საბას“ მკითხველებს შემოგთავაზებთ.

პანსლავიზმი

პუტინთან დაკავშირებული მწერლები განადიდებენ იმპერიას და ილაშქრებენ დასავლეთის წინააღმდეგ.

ამგვარად კრემლმა ხელახლა დაწერა ისტორია

ბაბილონზე ძველი რუსეთი, მოსკოვი ეტრუსკების დედა

ფაბრიციო დრაგოზუი
Corriere della Sera,
შაბათი, 12 ივლისი 2008

ოდითგანვე ერები და იმპერიები ცდილობენ საკუთარი ფესვების გაკეთილშობილებით მოიპოვონ ლეგიტიმურობა. რომაელებმა ამისათვის ტროელ ენეასს მიმართეს; რუსები ყოველთვის ბიზანტიისა და აღმოსავლეთ რომის იმპერიის წარმოსახვით მემკვიდრეობას ეყრდნობოდნენ, რასაც უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე IX პალეოლოგის ერთ-ერთი შვილიშვილის – სოფიასა, და თავად ივან III-ს შეუღლებას უნდა უმადლოდნენ. მაგრამ ახლა, როდესაც ნავთობის წყალობით მოსკოვი იბრუნებს ზესახელმწიფოს როლს, მზედაბნელებული კომუნიზმის შემცველი იდეოლოგიის პოვნა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

უნივერსიტეტის პროფესორები, მადალჩინოსანი მღვდლები და კრემლის კონტროლქვეშ მყოფი ტელევიზია, წარსული შეცდომების გათვალისწინებით, მთელი რიგი გრანდიოზული მითების შეთხზვაზე და რუსეთის პოლიტიკის წარმართვაზე მუშაობს. მოსკოვია მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი და სწორედ რუსული ენა უნდა ყოფილიყო ის საერთო ენა, რომელზეც ყველა საუბრობდა

ბაბილონის გოდოლამდე; რუსებმა გაანდეს ცოდნა ეტრუსკებს, რომლებმაც შემდგომ რომი დაარესეს; და თუკი ბიზანტია დაეცა იმის გამო, რომ „წაიბილწა“ დასავლეთთან ურთიერთობით, დღევანდელმა რუსეთმა ჭკუა უნდა ისწავლოს და უნდა შეიკეტოს თავის ბრწყინვალეობაში. ცოტა არ იყოს, უცნაური თეორიები და დებულებანია, რომლებსაც ადამიანი ყურადღებასაც არ მიაქცევდა, რომ არ ვრცელდებოდეს წიგნებით, ტელეპროგრამებითა და ძალაუფლების მწვერვალთან მჭიდროდ დაკავშირებული პირებისაგან. მიყვებით თანმიმდევრობით.

მეორე რომის მემკვიდრე მოსკოვზე საუბარი დაიწყო მამა ტიხონ შევეკუნოვმა, ვლადიმირ პუტინის სულიერმა მოძღვარმა, მრავლისმთქმელი სახელის მქონე ტელეპროგრამაში: *იმპერიის დაცემა, ბიზანტიური გაკვეთილი*, რომელიც გადასცა და გაიმეორა რუსეთის მთავარმა არხმა („როსია“). სათქმელი მარტივი და პირდაპირი იყო: კონსტანტინოპოლი თავისი ბრწყინვალეობით დასავლელი ბარბაროსების შურს აღძრავდა, რომლებმაც გაძარცვეს იგი 1204 წლის „ჯვაროსნული“ ლაშქრობის დროს. თანამედროვე დასავლური კაპიტალიზმი აშენდა ბიზანტიიდან წამოღებულ ნადავლსა და „ებრაულ ვახშზე“. ერთგვარი ნაზავი ეგრეთ წოდებული სლაგოფილების ძველი და ახალი სტერეოტიპებისა. დღევანდელ რუსეთსა და კონსტანტინოპოლს შორის პარალელის გასაძლიერებლად მამა ტიხონი იუწყება, რომ მაშინდელმა იმპერატორმა, როგორც პუტინმა, შექმნა სახელმწიფოს სტაბილიზაციის ფონდი. შემდგომ, როდესაც ბიზანტია შეეცადა რეფორმირებასა და მოდერნიზირებას, როგორც სურდა ეს დასავლეთს, ყველაფერი დაიკარგა. დასკვნა ცხადია: დღევანდელი რუსეთი უნდა ჩაეჭიდოს თავის „ღიად ღირებულებებს“, მართლმადიდებლობასა და ავტოკრატიას და არ ათხოვოს ყური დემოკრატიასა და რეფორმებზე საუბრებს. მაგრამ მამა ტიხონი ზომიერებს განეკუთვნება. მას მოსდევინ რუსობის დამცველი ექსტრემისტები. ასეთია, მაგალითისათვის, ანატოლი ფომენკო მოსკოვის უნივერსიტეტიდან, ავტორი წიგნებისა *ანტიკურობა შუასაუკუნეებში* და *იმპერია*; მასაც ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი ჟურნალ-გაზეთებსა თუ ტელევიზიაში.

ფომენკო ამტკიცებს, რომ შეისწავლა ვარსკვლავთა განლაგება საუკუნეების მანძილზე და შეადარა ის ძველ დოკუმენტებს. და აღმოჩნდა თურმე, მთელი ისტორია ხელახლა ყოფილა დასაწერი, იმის გამო, რომ ის, რაც ანტიკურ ხანის მოვლენა გვეგონა, შუასაუკუნეებში მომხდარა. ქრისტე დაბადებულა 1053 წელს და ჯვარს ცმულა 1086-ში. პირველი რომი ყოფილა ეგვიპტის ალექსანდრია, რომელსაც XI ს-ში ბოსფორზე გადაუნაცვლია და გამხდარა ბიზანტია (სახელიც, რაღა თქმა უნდა რუსულიდან მოდის: *ბის ანტიკ*, (“მეორე ძველი”). მათემატიკოსი ამტკიცებს, რომ ეს ქალაქი ცნობილი ყოფილა აგრეთვე სხვა სახელებითაც, იერუსალემი და ტროა. იშვიათი ქრონოლოგიური გაწონასწორებით ამტკიცებს, რომ ჰომეროსის მიერ მონათხრობი ომი სხვა არა არის რა, თუ არა ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის გაძარცვაო. ნუ შევეყვინდებით, გავაგრძელოთ. როდესაც ბიზანტია დასუსტდა, გაჩენილან მოსკოვი, მისი პირდაპირი მემკვიდრე, და ის, რასაც რომს ვეძახით, ლაციუმის ნაპირებზე. გასაგებია, რომ ეს თეორია სლაგოფილების წისკველზე ასხამს წყალს. რუსეთის იმპერია რომის (ანუ დასავლეთის) მემკვიდრედ კი აღარ გვევლინება, არამედ მის პარალელურად, და ამიტომ მას არაფერი აქვს საერთო ჩვენს ცივილიზაციასთან. მაშ, ვინ დააარსა ის რომი, ჩვენ რომ ვიცნობთ?

აქ საქმეში ერთვება ტელეარხებისაგან სახელგანთქმული სხვა პერსონაჟი, პატივცემული ფიზიკოსი (მეცნიერებათა აკადემიის წევრი) ვალერი ჩუდინოვი, რომელიც ლინგვისტადაც ასაღებს თავს. მისმა შთამბეჭდავმა კვლევებმა (120 პუბლიკაცია) საშუალება მისცა მას გამოეცხო ერთი ფილმი, *„ტიტანთა ენა“*. მისი თეორიების გამავრცელებლად მოგვევლინენ ტელეარხები „კულტურა“ და

„ტვზ“. „ტიტანთა ენა“, რაღა თქმა უნდა, რუსულია, რომელიც, ფიზიკოს-ენათმეცნიერის არქეოლოგიური კვლევების საფუძველზე, არსებობს ოცდაათი ათასი წელია. რუსები წერდნენ და ბატონობდნენ მსოფლიოზე მაშინ, როდესაც ბერძნები, ეგვიპტელები და ასურები ბლუყუნებდნენ. «მთელი ევროპა და აზია, აღიასკამდე, რუსების იყო» - ამბობს დარწმუნებით. ეტრუსკებმა, მოსკოვის ბრძანებით დააარსეს ერთი ქალაქი ტიბროსზე და სახელად დაარქვეს «მირ», ანუ რუსულად - «მსოფლიო». მაგრამ იმის გამო რომ ეტრუსკები მარჯვნიდან მარცხნივ კითხულობდნენ, გამოვიდა «რიმ», ანუ რომი, რუსულად. ბუნებრივია, რომ მოსეც და ყველა მოციქულიც რუსულად მეტყველებდნენ, ენაზე, რომელიც იმ დროისათვის აღარ იყო საყოველთაო (ბაბილონის გოდოლის შემდგომ), მაგრამ ინარჩუნებდა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის მთავარი იდიომის ფუნქციას. XVIII ს-ში ეკატერინე II-ის მიერ სამეფო კარზე მოყვანილ ევროპელებს შეუთითხნიათ ისტორიის ის ვერსია, რომელიც დღეისათვისაა ცნობილი, რომ რუსები ტყეებსა და ჭაობებში ცხოვრობდნენ და რომ ერთი სკანდინავიელი მეფის ხელიდან მიიღეს ცივილიზაცია; რომ წმიდა კირილე და მეთოდიმ შეუქმნა მათ დამწერლობა; რომ პეტრე დიდის მიერ დასავლეთისკენ გაჭრილმა ფანჯარამ გაათანამედროვა ქვეყანა.

იოლია ყოვლივე აქედან გამოიტანო პოლიტიკური დასკვნები: ნუ აღგაშფოთებთ თუკი რუსეთი კუნთებს გიჩვენებთ და მოძალადეობს. შეიძლება გადაწყვიტოს და დაიბრუნოს კიდეც ის, რაც ერთ დროს მას ეკუთვნოდა.

ისტორიის ფურცლები

ქაიხოსრო უფლისწული და კათოლიკე მისიონერები

XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ირან-საქართველოს ურთიერთობაში შემუშავებულმა კომპრომისულმა პოლიტიკამ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცლები გადაშალა. ირანის წინააღმდეგ ამხედრებული ავღანეთის ცხელ მიწას მრავალი ათასი ქართველის სისხლი შეაშრა. დღემდე კი ავღანელთა მეხსიერებას ქართველი ანუ “გურჯი” კარგის, ძლიერის სინონიმად შემორჩა. ამ შთაბეჭდილებას რეალური საფუძველი ჰქონდა. ირანის არმიის ელიტად მიჩნეული ქართველი მეომრები და მათი მხედართმთავარი ქართლის მეფეები XVII ს-ის პირველ მეოთხედში სეფიანთა ირანის შენარჩუნების გარანტიად იქცნენ. ირანის წინააღმდეგ მემბოხე ავღანელთა თუ სხვათა ერთადერთ დამაშოშმინებელ ძალად მხოლოდ ქართველები ჩანდნენ. ინგლისელი ისტორიკოსის ვ. ალენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართლის მეფის გიორგი XI-ისა და “მისი ძმების სამხედრო სიმტკიცემ შეინარჩუნა ბოლო ათეულ წლებში სეფიანთა დინასტია სპარსეთში”. ამ უკანასკნელს, მართალია, არსებობის წლები დათვლილი ჰქონდა, მაგრამ დაშლილ, სამოქალაქო ომებში დაქანცულ, უმოკავშირეოდ დარჩენილ, ერთმანეთს დაპირისპირებულ ჩვენს ქვეყანას, კერძოდ, ქართლის სამეფოს, საკუთარი ძალებით არ შეეძლო საქართველოს პოლიტიკური მომავლის ბედის გადაწყვეტა. ამიტომ ქართლის მეფეებს (გიორგი XI და ქაიხოსრო) და რჩეულ ქართველ მეომრებს ირანის მტრების წინააღმდეგ უნებურად უხდებოდათ თავგანწირული ბრძოლა და სისხლისღვრა. სხვის ომში კი ქართველების მამაცობას ანალოგი არ მოეძებნებოდა.

წინამდებარე სტატიის მიზნიდან გამომდინარე, არ შევეხებით ქართლის მეფის გიორგი XI-ის (1676-88; 1703-1709) ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტრაგიკულად დაღუპვის ისტორიას. 1709 წლის 21 აპრილს დიდი მხედართმთავრული ნიჭით, უნარით, ენერგიითა და სიმამაცით განთქმული მეფე გიორგი ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა. ეს ნიშნავდა

ირანის იმპერიის მზის ჩასვენებას. ამით შეშინებულმა შაჰ ჰუსეინმა დიდი არმია შექმნა და მის მეთაურად გიორგი XI-ის ძმისწული, ისპაჰანის გუბერნატორი და დივანბეგი ქაიხოსრო ლევანის ძე დანიშნა. ამასთანავე, შაჰმა მას ქართლის ტახტიც უბოძა. თ. კრუსინსკის თანახმად, „ასეთი ნაბიჯით ირანის შაჰი ორი ამოცანის გადაჭრას ისახავდა მიზნად: ერთი, ქართველთა გულადობით ყანდაპარი კვლავ მას დამორჩილებოდა და, მეორე, არ გაძლიერებულიყო სამეფო. ამ სამეფოს იგი არ ენდობოდა“.

ქაიხოსრო ორი წელიწადი (1709-1711) ითვლებოდა ქართლის მეფედ, მაგრამ იგი თავის სამშობლოში არ უნახავთ. წინამორბედ, თუ მომდევნო მუხრანბატონიშვილთა დარად ქაიხოსრო აშკარა სიმპათიას ავლენდა კათოლიკობის მიმართ. ამასთან დაკავშირებით თ. კრუსინსკი წერს: „მისიონერთა მფარველმა და კეთილისმყოფელმა ხოსრო ხანმა (ქაიხოსრომ) თბილისის, გორის, განჯისა და თავრიზის მისიებს მუდმივი შეწირულობის გადახდა დაუნიშნა. მასთან მუდამ იყო კარმელიტი ძმა ბასილი პარიზიდან, რომელიც დამსახურებული მისიონერი იყო და დიდი პატივისცემით სარგებლობდა სპარსელებს შორის“. ასევე, სხვა სანდო წყაროებში ვკითხულობთ: „ხოსრო ხანმა საჯაროდ აღიარა კათოლიკური სარწმუნოება და ყოველთვის თან იახლებდა სამ ევროპელ მისიონერს: ფრანგ მამა ბასილს პარიზიდან, რომელიც ფესშიშველ კარმელიტთა ორდენს ეკუთვნოდა და ორ იტალიელ კაპუჩინელს – მამა რეჯინალდოს და მამა ამბროსის მილანიდან. ის რეგულარულად ესწრებოდა სამ მესას ყოველდღე და უხვად გასცემდა წყალობას, ათას-ათასი კრონიც კი აჩუქა მისიებს თბილისში, თავრიზში, განჯაში, გორში, ისპაჰანსა და შირაზში. მოკლედ, ეს იყო სამაგალითო ღმრთისმოსაობითა და ერთგულებით გამორჩეული ბატონიშვილი“.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქაიხოსროს, როგორც ირანის სახელმწიფოს დიდი მოხელის კათოლიკე მისიონერებისადმი ასეთი მზრუნველობა, უწინარეს ყოვლისა ირანის შაჰის პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. კერძოდ, ირან-საფრანგეთის 1708 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულების 26-ე მუხლის თანახმად, ირანის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ორდენის მამებს თავისუფლად შეეძლოთ „თავიანთი სარწმუნოების სამსახური“. მათ ასევე უფლება მიეცათ, ირანის იმპერიის ნებისმიერ ქალაქში ეცხოვრათ, ესწავლებინათ და გაეწვრთნათ „სომეხთა და ქრისტიანთა ბავშვები“. ამ საქმეში ხელის შეშლა არავის შეეძლო. იმ სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის ფონზე, რომელიც საქართველოში მუდამ არსებობდა, საკვირველი არაფერია იმაში, რომ ქაიხოსრო კეთილგანწყობას იჩენდა კათოლიკობის მიმართ. აქ მთავარი ისაა, რომ მან ფარულად აღიარა კათოლიკობა, რომელსაც მხოლოდ რელიგიური მიზანი არ ჰქონდა. როგორც პირველწყაროებიდან ირკვევა, ქაიხოსრო და მისი ძმა, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-1741) ერთიან რელიგიურ კურსს ადგენენ, რომელიც დასავლეთში მოკავშირის ძებნას ისახავდა მიზნად. ახლა ყური მივუგდოთ წყაროებს.

ქაიხოსრომ და დომენტი კათოლიკოსმა 1708 წლის ზაფხულში წერილი მიწერეს რომის პაპ კლიმენტი XI-ს (1700-1721). მათი წერილები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ პროპაგანდა ფიდეს ისპაჰანის ვიკარიუსისადმი თხოვნა, დაწვრილებითი ცნობები მიეწოდებინა ქაიხოსროსა და დომენტის შესახებ, საშუალებას გვაძლევს დაახლოებით აღვადგინოთ ქაიხოსროსა და დომენტის წერილების შინაარსი.

დომენტი კათოლიკოსი თავის წერილში პაპისადმი ერთგული ქვეშევრდომობის ნებას და კათოლიკური სარწმუნოების მიღების სურვილს გამოთქვამდა. აქ პაპი სახელდებოდა ქრისტეს მონაცვლედ, წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურად და ჩაუქრობელ ლამპრად. რაც შეეხება ქაიხოსროს, ის პაპს წერილობით აუწყებდა, რომ საიდუმლოდ მიიღო კათოლიკური

სარწმუნოება, რადგან ირანში მისი საჯაროდ აღიარება შეუძლებელი იყო. ამიტომ პაპისაგან ითხოვდა, რომ ნება მიეცა, გარეგნულად დაეფარა თავისი ქრისტიანობა. ასევე „მიანიჭოს ახსნა უწინ ქრისტიანობის უარყოფისათვის და შენდობიანი ჯვარი უბოძოს. აგრეთვე აუწყოს, რომ რომში მივიდეს პაპთან და თავშესაფარს იშოვიდა თუ არა“?

ადრესატებისადმი პასუხის გამოგზავნა რომმა ძალიან დააგვიანა. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ალბათ, ისპაჰანიდან დროზე ვერ მიაწოდეს ცნობები ქაიხოსროსა და დომენტის შესახებ, რასაც პროპაგანდა 1708 წელს ითხოვდა. მხოლოდ 1711 წლის 24 იანვარს შეძლო პროპაგანდამ წერილი მიეწერა ქაიხოსროსა და დომენტი კათოლიკოსისათვის. ამ უკანასკნელს პროპაგანდა პაპის სახელით უწონებდა კათოლიკური სარწმუნოების მიღების სურვილს და მოუწოდებდა, თავისი წადილი აღესრულებინა. ასევე აგულიანებდა „ხელი მოეწერა კათოლიკური სარწმუნოების სიმბოლოსათვის, რომელიც ამ წერილთან ერთად ეგზავნებოდა“. რაც შეეხება ქაიხოსროს, პროპაგანდა პაპის სახელით წერდა: „პაპი მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებთ, რომ თქვენს ასეთ კეთილ წადილში მარად მტკიცედ იყოთ“. „ხოლო პაპი გულმოწყალებით ყველაფრის ნებას აძლევდა, რაც კი კათოლიკურ სარწმუნოებას არ ეწინააღმდეგებოდა“.

ცნობილი არ არის, მიიღეს თუ არა ადრესატებმა ეს წერილები, ან რა შედეგი მოჰყვა ამას. ავღანელებთან სასტიკ ბრძოლაში ჩაბმული ქაიხოსრო, ცხადია, ვერ მოიცილიდა პროპაგანდის წერილის საპასუხოდ.

ამრიგად, წარმოდგენილი წყაროების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, ქაიხოსროსა და კათოლიკოს დომენტის მიერ კათოლიკობის მიმართ სიმპათია აშკარად იყო გამოხატული. ისინი საიდუმლოდ ფიქრობდნენ რომის კათოლიკურ უნიატურ ეკლესიაში გადასვლაზე. წმიდა ტახტმა მათ უარი უთხრა იმის საფუძველზე, რომ წესდება არ ითვალისწინებდა საიდუმლოდ სარწმუნოების გამოცვლას. ძმები გულწრფელნი იყვნენ თავიანთ განზრახვაში, მაგრამ მათ კეთილგანწყობას რომის კათოლიკე ეკლესიისადმი მხოლოდ რელიგია არ ედო საფუძველად. ამ პერიოდში აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანში, რომისა და საფრანგეთის გავლენის სწრაფმა ზრდამა ღვიძლ ძმებს, ისპაჰანის გუბერნატორს ქაიხოსროს, ქართლის ჯანიშანს ვახტანგ VI-ს და კათოლიკოს დომენტი IV-ს რომის პაპსა და საფრანგეთის მეფეში სასურველი მოკავშირეები დაანახა.

რენესანსის შეილებთან, კათოლიკე მამებთან ურთიერთობა ქაიხოსრო უფლისწულს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეუწყვეტია, როგორც წყაროები მეტყველებენ, ავღანელების წინააღმდეგ დაძრულ ირანელთა ჯარის სარდალს, ქაიხოსროს სამი მისიონერი ახლდა თან. აქედან ორის სახელი ცნობილია. ესენი არიან: მამა ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელი და მამა ბასილი პარიზიდან მესამის სახელი უცნობია. ფრანგი მამა ბასილი იყო სენ-შარლიდან. “მამა ბასილი, – ვკითხულობთ წყაროში, – იძულებული გახდა წასულიყო ამ ქალაქიდან (ისპაჰანიდან – მ. პ.), რათა თან ხლებოდა სპარსეთის შაჰის არმიის გენერალს (ქაიხოსროს – მ. პ.), რომელსაც ბრძანება ჰქონდა მიღებული დაებრუნებინა ქალაქი ყანდაჰარი, რომელიც მოგოლმა აიღო. მამა ბასილი მიიწვიეს ამ მოგზაურობაში იმიტომ, რომ არმიის ეს გენერალი იყო ქრისტიანი ქართველი და მისი პირადი მეგობარი”. რაც შეეხება ჯუზეპე ფრესკურატ ვერონელს, ის არა მარტო ქაიხოსროს მახლობელი იყო, არამედ ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის ძველი მეგობარი გახლდათ.

1711 წლის 26 ოქტომბერს კიდევ ერთი ავი დღე გაუთენდათ ქართველებს. ქართველი სარდლის ირანული არმია 30 ათასი ირანელი და 1200 რჩეული ქართველი მეომრისაგან შედგებოდა. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქედუხრელი ავღანელების შეტევას ვერ გაუძლეს ირანელმა მეომრებმა და მასობრივად გარბოდნენ ბრძოლის ველიდან. ასეთ სირცხვილს სიკვდილი ერჩია

ქაიხოსრო მეფეს. ის 200 შემორჩენილი ქართველი მხედრით ეკვეთა მტრის მთავარ რაზმს და სიმამაცისა და სიმტკიცის სასწაული აჩვენა, ვიდრე ურიცხვმა ძალამ არ გაიმარჯვა და მამაცურად არ დაღია სული. ქართველთა სიმამაცის სასწაულმა მაგალითმა ათქმევინა ქედუხრელ ავღანელებს: „სპარსელები ჩვენთან შედარებით ღია ცეცხლი არიან, მაგრამ ქართველებთან შედარებით ჩვენ ვართ ღია ცეცხლი“.

თადეუშ კრუსინსკის თანახმად, ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა კარმელები ძმა ბასილი. “მან არ ისურვა საფრთხეში მიეტოვებინა ბელადი, – წერს ავტორი, – თუმცა მას უბრძანეს გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ იგი ქაიხოსროსთან ერთად დაიღუპა, რომელიც ჩუმად ასრულებდა მოძღვრის ფუნქციას”. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. მამა ბასილი ავღანელებმა ჩაივდეს ტყვედ და იგი ბრძოლის ველზე არ მოუკლავთ. სენ-ლორანიდან 1714 წლის 23 მარტს ერთ-ერთი ფრანცისკანელი მამა პარიზში ერთ-ერთ სახელმწიფო მოხელეს წერდა: “მამა ბასილი ტყვედ ჩავარდა და არ იქნა მოკლული, როგორც ეს ჩვენ თავდაპირველად გვაცნობეს. სპარსეთის მისიონერები იწერებინ, რომ ყველანაირად ცდილობენ მის გამოსყიდვას და მამა ბასილი გათავისუფლებას”. ამავვე წყაროდან ჩანს, რომ მამა ბასილი დაიხსნეს ტყვეობიდან და საფრანგეთის ვიცე კონსულად დაინიშნა ირანში. ჯუზეპე ფრესკურატი ვერონელიც გადაურჩა ავღანელთა მახვილს.

ახლა დაისმის კითხვა: რატომ ახლდნენ ქაიხოსრო უფლისწულს კათოლიკე მამები ავღანელების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში? ამ კითხვაზე უტყუარი პასუხის გაცემა ძნელია. ვარაუდის დონეზე კი ვფიქრობთ: კათოლიკე მამები ქაიხოსრო უფლისწულს, ვითარცა გულით მტკიცე ქრისტიანს ახლდნენ, რათა მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტეში განემტკიცებინათ და ამით თავიანთი უზენაესი ვალი მოეხადათ. თვით ქაიხოსრო კი, კათოლიკე მამების თანხლებით, მაჰმადიანების წინააღმდეგ ომს რელიგიური ჯვაროსნობის ელფერს ანიჭებდა.

მურმან პაპაშვილი

ინფორმაცია

ახალი წიგნები

ვადილოთ უფალი

ახლახანს გამოვიდა ლოცვის წიგნი „ვადილოთ უფალი“, რომელიც ძვირფასი საჩუქარია საქართველოს კათოლიკეთათვის. მართალია, უკანასკნელ ოციოდე წელიწადში ორი ლოცვის წიგნი გამოვიდა მამა ანრი მარტენის რედაქციით, მაგრამ მათში სრულად არ იყო ასახული და გადმოცემული კათოლიკეთა ძველი ლოცვანი. ამ ნაკლს ვერც ეს, ახალი გამოცემა შეავსებს, მაგრამ მასში დამატებულია ისეთი ლოცვები, რაც მამა-პაპათაგან ჰქონდათ მიღებული და სისხლ-ხორცში გამჯდარი კათოლიკეებს (დღეისათვის მხოლოდ მოხუცებს თუდა ახსოვთ ისინი). ასეთი ლოცვებია: ლოცვა ყოვლადწმიდა სამებისადმი (სარწმუნოებით აღვიარებ...), ლოცვა მანასე მეფისა (უფალო ყოვლის მპყრობელო...) და სხვა. ასევე, მასში შესულია ისეთი ლოცვები, როგორცაა, გვირგვინი ღმრთიური გულმოსყალებისა, მარია ალაკოკის ლოცვა, სხვადასხვა ლოცვები, რომლებიც მიმართულია ოჯახისათვის, დანიშნულთათვის, მშობლებისათვის, ორსული დედის ვედრება, ხანდაზმულთა ლოცვა, ლოცვა საქართველოს ეკლესიისათვის, ავადმყოფთათვის და სხვა მრავალი. ლოცვის წიგნში ასევე, შეტანილია ის ლიტანიები, რომლებიც წინა გამოცემებში არ ყოფილა. კერძოდ, ლიტანიები საქართველოს იმ წმიდანებისა, რომლებიც ეკლესიის ერთიანობის პერიოდში საქართველოში ცხოვრობდნენ და რომელთაც ცნობს კათოლიკე ეკლესია.

მლოცველი აქვე იხილავს კათოლიკე ეკლესიის მოძრავ დღესასწაულთა ცხრილს და სხვა დანარჩენი დღესასწაულების კალენდარს, სადაც დაწვრილებითაა მოცემული ყველა დღესასწაულის თარიღი. ვფიქრობთ ეს წიგნი მართლაც თანსატარებელი გახდება (როგორც ამ წიგნს აწერია) საქართველოს კათოლიკეებისათვის.

ენციკლიკა – “სასოებით ხსნილნი” SPE SALVI

სდაქართველოს კათოლიკეებმა და საერთოდ ქართველმა საზოგადოებამ კარგი საჩუქარი მიიღო: ქართულად ითარგმნა და გამოიცა რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის ენციკლიკა – „სასოებით ხსნილნი“. ენციკლიკა განკუთვნილია ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნებისათვის, აგრეთვე ყველა მორწმუნისთვის და მოგვითხრობს ქრისტიანული იმედის შესახებ. „იმედი“ ბიბლიური მრწამსის იმდენად მნიშვნელოვანი სიტყვაა, რომ ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთებში „რწმენა“ და „იმედი“ ურთიერთშემცვლელ ტერმინებად გვესახება“, – ვკითხულობთ წმიდა მამის ენციკლიკაში. აქვე ვკითხულობთ: „იმედის წვდომის პირველი უმნიშვნელოვანესი „ადგილი“ ლოცვაა. თუ აღარავის ესმის ჩემი, ღმერთი კვლავაც მისმენს. თუ ვეღარავის ვესაუბრები, ვეღარავის მოუხმობ, ღმერთს კვლავაც შემიძლია ველაპარაკო. თუ აღარავინაა ჩემი დამხმარე, როცა ადამიანური იმედის შესაძლებლობებს აღმატებულ საჭიროებებსა თუ მოლოდინზეა საუბარი, ღმერთს შეუძლია ჩემი შეწვევა. თუ სრულ მარტოობაში აღმოვჩნდი, ლოცვისას მაინც არა ვარ მარტო“. ენციკლიკაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ასე აღელვებს თანამედროვე ადამიანს. ვფიქრობთ, მკითხველი ბევრ ისეთ კითხვაზე მიიღებს პასუხს, როგორებიცაა: ქრისტიანული იმედის ჭეშმარიტი სახე, რა არის მარადიული სიცოცხლე, ინდივიდუალისტურია თუ არა ქრისტიანული იმედი და სხვა.

განცხადება

2008 წლის 4 ოქტომბერს, 11. 30 სთ-ზე, თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს კათოლიკურ ტაძარში აღესრულება დიაკონ მიხეილ სურმავეას მღვდლად ხელდასხმა. ყველა კათოლიკეს ვთხოვთ ილოცოთ მისთვის.

2008 წლის 18 ოქტომბერს, წმ. ლუკა მახარობლის ხსენების დღეს, ვაღეს კათოლიკურ ეკლესიაში აღესრულება პაატა ქომოშვილის დიაკვნად ხელდასხმა. გთხოვთ მოიხსენიეთ თქვენს ლოცვებში პაატა, რათა ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენით აღასრულოს ღმრთისაგან მინდობილი მოწოდება.

განუსვენე მათ, უფალო

ანზორ მანველოვი

* 29. 10. 1951 წ. – ვაღე

† 01. 07. 2008 წ. – ვაღე

სოფიო ნარიმანიშვილი

* 21. 07. 1927 წ. უღე

† 28. 06. 2008 წ. – აბასთუმანი

სალომე (ჟუჟუნა) გიქოშვილი

* 25. 12. 1948 წ. – უღე

† 26. 04. 2008 წ. – ახალციხე

თინა აფრიამაშვილი – ობოლაშვილი

* 07. 08. 1926 წ. – უღე
† 30. 08. 2008 წ. – ახალციხე

ახალგაზრდული გვერდი

მომლოცველობა თურქეთში

სექტემბერში, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ორგანიზებით, კათოლიკე ახალგაზრდებს საქართველოს სხვადასხვა საკრებულოდან მოგვეცა საშუალება მიგველო მონაწილეობა თურქეთში მომლოცველობაში, ქვეყანაში, რომლის მიწაზეც წარმართებმა პირველად მოისმინეს უფლის სიტყვა წმ. პავლეს ქადაგებებში და ქრისტეს მიმდევრებს ეწოდათ „ქრისტიანები“.

თურქეთში მრავლადაა წმინდა ადგილი და კულტურული ძეგლი, რომელთა ისტორია და რელიგიური მნიშვნელობა გაგვაცნო ამ საკითხების საუკეთესო მცოდნემ, ბიბლესტმა, მამა პიერ დიუმუენმა. მოგზაურობის მთავარი პუნქტი ქალაქი ეფესო იყო, ქალაქი, რომელიც წმ. პავლეს მისიონერული მოღვაწეობის ერთ-ერთ ათვლის წერტილს წარმოადგენდა, სადაც დასაფლავებულია წმ. იოანე და, სადაც თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდი გაატარა წმინდა მარიამმა. ეფესოს ქრისტიანული საკრებულო იმ ეკლესიებს შორისაა, რომლებსაც იოანეს გამოცხადება მიმართავს. აქ ჩატარდა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება.

ეფესოსკენ მიმავალ გზაზე გაჩერდით კაპადოკიაში, ცენტრალური ანატოლიის უძველეს ქრისტიანულ კერაში და სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთ პირველ ცენტრში, რომელიც დღეს ტურისტულ ობიექტად მოიაზრება და ქრისტიანებს სპეციალური ნებართვის აღება სჭირდებათ, რათა იქ ილოცონ. მიუხედავად ამისა, მცირეოდენი კათოლიკე ბერ-მონაზვნები, რომლებმაც ჩვენ გულთბილად მიგვიღეს, მაინც ახერხებენ ურთულეს პირობებში აქტიურ ქრისტიანულ მოღვაწეობას.

ეფესო და მისი მიმდებარე ელინისტური ქალაქები დღესაც ინახავენ იონიის საბერძნეთის მშვენიერებას და რომის იპერიის დიდებას. მათი მხილველისთვის ნათელია, რომ ძნელი იქნებოდა ადგილობრივ მკვიდრთა გაკვირება სიმდიდრით, ფილოსოფიითა თუ ხელოვნების დახვეწილი ფორმებით. მაშინ, ისევე როგორც დღეს, მხოლოდ უფლის სიტყვას შეეძლო ისე დრამატიკულად ადამიანის გულში, რომ მას უზრუნველი ცხოვრების წესის შეცვლაზე ან ასეთი ცხოვრებისკენ სწრაფვისგან თავის დახსნაზე ეფიქრა. წმ. პავლეს გულში ეს სიტყვა დამასკოსკენ მიმავალ გზაზე გაისმა. უფალმა ახარა წმ. პავლეს ხსნა და ამიერიდან ის თავად გახდა მეგზური უამრავი ადამიანისათვის ღმრთის სასუფევლისკენ.

მომლოცველობისას წმინდა ადგილების ხილვა და მოგზაურობა მხოლოდ სტიმულია სულიერი მუშაობის გაღვივებისთვის, რათა ღოცვით და მედიტაციით შინაგანად გარდავიქმნათ. იმ ადგილზე ყოფნისას, სადაც წმ. პავლე ქადაგებდა, ყველაზე ადვილია მრავალი საუკუნის წინ დაწერილი წერილების „ისტორიული ნადების“ ქვეშ იმ სიტყვის დანახვა, რომელიც დღეს ჩემთვის ისევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც პირველი დროის ქრისტიანებისთვის, სიტყვისა, რომელსაც უფალი ჩემს გულს ეუბნება არა დასარწმუნებლად ან გადასაბირებლად, არამედ ჩემს გადასარჩენად, ჩემი სიყვარულით, რომელიც

იმდენად დიდია, რომ თავის თავში ვერ იტევს. მას ასევე ვერ დაიტევს ვერცერთი ქრისტიანი, ამიტომ მუდამ ესწრაფვის გაუზიაროს ის სხვას.

ანტიკური ქალაქების ნანგრევებში ჩემთვის ადვილი წარმოსადგენი იყო ასევე იმ წარმართი ბერძენის თავგადასავალი, რომელიც წმ. პავლეს თქმით „უცნობ ღმერთს“ სცემდა თაყვანს სანამ შეხვდა მას და შეიტყო მისი სახელი. ჩვენი ცხოვრების გზა დღესაც ქრისტესთან შეხვედრის ადგილად რჩება და დღესაც მრავალი ადამიანის სული დაუოკებელი სწრაფვით არის მოცული, რათა მრავალფეროვან სამყაროში, ცვალებად მოვლენებს შორის ამოიკითხოს ღმრთის ნიშნები, რომლებიც მარადიული ცხოვრებისაკენ მიუთითებენ. ღმერთს მოწყვეტილი ადამიანი საკუთარი თავის მძევალია. ამიტომ, ჩვენი სული დაბადებიდანვე მიდრეკილია იმისკენ, რომ დაკარგოს საკუთარი თავი სხვაში, სხვა ადამიანის, სიმდიდრის თუ ძალაუფლების სიყვარულში, რათა დროებითი სიმშვიდე მოიპოვოს, რითაც კიდევ უფრო მეტად ივიწყებს მისი სიყვარულის ჭეშმარიტ საგანს, რომელიც თავად არის ამ სიყვარულის წყარო. ამიტომ, ღმრთის ჩანაფიქრის აღსრულება, ჩვენი გამოხსნა მოჩვენებითი სიმშვიდის დარღვევით იწყება. საკუთარი მარტოობისა და სავალალო მდგომარეობის გაცნობიერება, რასაც ღმრთისგან დაშორება ბადებს, ორმაგი ძალით აღძრავს ჭეშმარიტი სინათლის წყურვილს და მაშინ ადამიანი მზადაა მოუსმინოს ღმრთის სიტყვას.

ლოცვა და ღმრთისმსახურება ჩვენი მოგზაურობის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენდა. ეპისკოპოსი მომლოცველობის ყოველ დღეს აღავლენდა წმ. წირვას. მათ შორის, ორჯერ საშუალება მოგვეცა ჩაგვეტარებინა წირვა წმ. მარიამის სახლთან. ის ყოველწლიურად უამრავი ქრისტიანის მომლოცველობის წმინდა ადგილია და აქ სტუმრობდა რომის პაპი ბენედიქტე XVI ორი წლის წინ თურქეთში ვიზიტისას. ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანისთვის ეს უმნიშვნელოვანესი პირადი გამოცდილება იყო რწმენაში, რომელიც მომავალში სირთულეების დროს აუცილებლად ჩვენს სიმტკიცეს შეუწყობს ხელს.

პირად გამოცდილებასთან ერთად ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე ქრისტიანების ცხოვრების პირობებთან გაცნობას. შევხვდით იზმირის (სმირნის) არქიეპისკოპოსს. მისი საუბრის მოსმენამ თურქული საკრებულოების არსებობის პირობების შესახებ, რომლებიც იძულებულნი არიან ნახევრად იატაკქვეშა ქრისტიანული ცხოვრებით იცხოვრონ, სულ სხვა კუთხით დაგვანახა ის სირთულეები, რასაც ქართული საკრებულოები განიცდიან. თურქეთში ყველაზე ნათელი სახით ვიხილეთ ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება ჩვენც გადაგვხდეს თავს და ჩვენ ვიხილეთ ადამიანები, რომლებიც წარბშეუხრელად, სიმშვიდით და ქრისტიანული სასოებით უმკლავდებიან მათ. ჩვენ ახალგაზრდები პირველ ნაბიჯებს ვდგამთ რწმენაში და თითოეულმა ჩვენგანმა მიიღო თანამედროვე ქრისტიანთა ყოფის განსხვავებული გამოცდილება, რომელსაც გაეუზიარებთ ჩვენს საკრებულოებს.

თურქეთში კათოლიკეები უფრო მძაფრად განიცდიან იმას თუ რას ნიშნავს თავს გრძნობდე საზოგადოების არასრულფასოვან ნაწილად, როდესაც სახელმწიფო არ აღიარებს მისი მოქალაქის უფლებას, რომ არა მხოლოდ პირად ცხოვრებაში იყოს კათოლიკე ქრისტიანი, არამედ სწორედ, როგორც კათოლიკემ, სხვებთან ერთად, მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების კეთილდღეობისთვის ზრუნვაში, რადგან იყო ქრისტიანი, ნიშნავს ფორმალური რელიგიური წესების აღსრულებასთან ერთად თითოეული აზრი და მოქმედება მიუძღვნა უფლის მსახურებას უფლის სიყვარულში.

ჩვენ ვიხილეთ ქრისტიანული ცხოვრებისთვის დამახასიათებელი გასაოცარი ფაქტი, რომ ქრისტიანი მით უფრო ძლიერია სიყვარულში და მით უფრო მტკიცე რწმენაში, რაც უფრო დიდ წინააღმდეგობას აწყდება ამ გზაზე. ვფიქრობ, მომლოცველობის ყველა მონაწილე უფრო კარგ ქრისტიანად

დაბრუნდა სამშობლოში, ვიდრე იყო წასვლამდე და ახალგაზრდა კათოლიკეების გამოცდილება აუცილებლად კეთილად აისახება ჩვენი საკრებულოების ცხოვრებაზე.

გიორგი ნებიერიძე

ფიფე პეტე ვუით st ფიუჯ მდ უუი t გკ ლt sm ქწ ქლ წსმულ წიით sქვ უპ

მარინა ჭადიაშვილი – უდე

როცა ახალ აღთქმას ვკითხულობდი, მასში აღწერილი ადგილების მონახულების სურვილი მქონდა, ამიტომ ეს მომლოცველბა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებით მომეწონა მიწისქვეშა ქალაქი და მარიამის სახლი, რომელშიც სიმშვიდე სუფევდა. მსურს მივბაძო მას და ვიყო ძლიერი.

შოთა გიქოშვილი – სემინარისტი

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იზმირის არქიეპისკოპოსთან შეხვედრა. როდესაც თურქეთში მცხოვრები ქრისტიანების გამოცდილებაზე მიამბეს, როგორც სემინარისტს, სურვილი გამიჩნდა უფრო ღრმად ჩავწვდომოდი მას.

გიორგი ნებიერიძე – ქუთაისი

ამ ქალაქებს, სადაც ჩვენ ვიყავით, პავლესთან კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ხალხმა მოისმინა მისი სიტყვა და იწამა მისი. მარიამის სახლის მიმართ სხვანაირად ვიყავი განწყობილი, მაგრამ როცა სახლში შევედი ტირილი დავიწყე. მგონია, რომ ეს ყველა ადამიანში ხდება.

ნოდარი კაპანაძე – თბილისი

ყველა ადგილი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ განსაკუთრებით იოანეს საფლავმა ძალიან მომხიბლა.

ლალი ჭანტურია – ქუთაისი

კაპადოკია იყო მნიშვნელოვანი ჩემთვის. ცუდია, რომ სასულიერო პირებს, და საერთოდ ქრისტიანებს უჭირთ იქ ყოფნა. ვისურვებდი, რომ ისინი უფრო თავისუფლად ცხოვრობდნენ იქ.

ემზარი ჭონიშვილი – ახალხიზა

ყველაფერი ძალიან ლამაზი და მნიშვნელოვანი იყო ყოველი ქრისტიანისათვის და მათგან რაიმეს გამოყოფა ძალიან მიჭირს.

ნინო კაჭკაჭიშვილი – ახალციხე

მომეწონა ღმრთისმშობლის სახლი. ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა ნახოს ის და იქ მარიამთან მარტო დარჩეს.

ნინო ჭანტურია – თბილისი

ევესოში ყოფნა იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, რადგან წმინდა პავლემ იქ 3 წელიწადი დაყო. განსაკუთრებით მომეწონა ბიბლიოთეკა. და ის როგორ იცავდა ხალხი მას. ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: “გაცემა უფრო მეტი სიხარულია ვიდრე მიღება”. მინდა, რომ ეს ყველამ დაიმახსოვროს.

ნატო ალავერდაშვილი – გორი

კაპადოკია არის ქრისტიანების კერა. მსურს, რომ თითოეული ქრისტიანი გახდეს ისეთი, როგორც იყო წმინდა ნინო. ერთი ადამიანის მოქცევაც დიდი მადლია.

ინგა ჭილიტაშვილი – თბილისი

ბედნიერი ვარ, რომ მონაწილეობა მივიღე ამ მომლოცველობაში, ძალიან მომეწონა ღმრთისმშობლის სახლი და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე წმინდა იოანეს საფლავმა.

მარინა ჩილინგარაშვილი – ახალციხე

მნიშვნელოვანია ძველი ქრისტიანული ქალაქების მონახულება, რომელიც ამჟამად მუსულმანების ხელშია, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია.

სალომე თოდრია – ბათუმი

ბევრი რამ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. როცა მიყვები იესოს, ხედავ მის სიყვარულს და სულიერად ძლიერი ხდები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წმინდა იოანეს საფლავმა.

მარინა აღლემაშვილი – არალი

მე მეამაყება, რომ ვარ კათოლიკე ქრისტიანი. მიხარია, რომ ვნახე ის ადგილები, საიდანაც წმინდა ნინო იყო. დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს ვუღალატებ ჩემს სარწმუნოებას.

საგანგებო ჩანართი

ფუსტელ – ტამპლიერთა ტრადიცია, უძველესი ფესვები, ევროპულ და ქართულ ქრისტიანულ სამყაროს ურთიერთობის ისტორიაში.

**“ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა,
ნურცა ძველსა მეგობარსა”
(ხალხური)**

თავის დროზე, ზვიად გამსახურდიამ თავის გამოკვლევებში გამორჩეული ადგილი დაუთმო ქართულ-ევროპული ქრისტიანული ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. ამასთან მან განსაკუთრებულად გამოკვეთა ტამპლიერობის საკითხი: **“ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე, დასავლური და აღმოსავლური ინიციატია. ტამპლიერობა მარტო დასავლეთის საკუთრება არ არის. ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის”** (ზ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990 წ., გვ. 26). ევროპელი ჯვაროსნები, როგორც ჩანს, მჭიდრო კავშირს ამყარებენ აღმოსავლური ქრისტიანული ბასტიონის დამცველებთან, ქართველებთან. იმ საერთო მიზანმა, რომელსაც უფლის საფლავის განთავისუფლება ედო საფუძვლად, ეს ორი სამყარო ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. საკრამენტუმი, რომელიც ამ ეპოქაში ჩაისახა ევროპულ და ქართველ ქრისტიანებს შორის, შემდგომმა ისტორიულმა გარემოებებმა დავიწყების ბინდით დაფარა. ეს უნიკალური საკრამენტუმი დღეს მართლაც მოითხოვს ძირეულ მეცნიერულ-სადმრთისმეტყველო შესწავლას და კვლევა-ძიებას, ვინაიდან, იგი აშკარად ასაბუთებს იმ საერთო არქაული ფუნდამენტის არსებობას, რომელზეც იდგნენ კათოლიკური და მართმადიდებლური სამყაროები გარდასულ ეპოქაში.

მითუმეტეს დღეს, როცა ჩვენში არსებობენ ძალები, რომელთაც დასავლურ ცივილიზაციასთან ჩვენი ინტეგრაცია მიზანშეუწონლად მიაჩნიათ. ამას ხშირად საფუძვლად უდებენ “მართმადიდებლობის” ფაქტორს, რომელიც ძირითადად ჩვენი ყოფილი მეპატრონე – იმპერიის თანაცხოვრებითი გავლენითაც აიხსნება. არადა, უნდა აღინიშნოს ის ისტორიული რეალობა, რაც ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიას დაატყდა თავს რუსული იმპერიის წყალობით. 1819-1820 წწ. საეკლესიო აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რუსულმა იმპერიამ საფუძველი დაუდო ქართველი ერის სულიერ გენოციდს, რომლის დამღუპველი ზემოქმედებისთვის დღემდე ვერ დაგვიღწევია თავი. მე არა ერთხელ გამოვთქვი ჩემი მოსაზრება ამ მავნე მოვლენისგან თავის დაღწევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლისთვისაც აუცილებელია გაკეთდეს შემდეგი:

უნდა ვცნოთ და ვადიაროთ დღემდე ტაბუდადებული 1819–1820 წწ. საეკლესიო აჯანყება და მისი გმირები. ამ აჯანყების ბოლო ტრაგიკული, 1820 წ. 3 ივნისის, ფუტიეთის ბრძოლის თარიღი უნდა გამოცხადდეს ქართველი ერის სულიერი დამოუკიდებლობის დაკარგვის და ქართველი ერის ორასწლოვანი სულიერი გენოციდის დაწყების თარიღად.

უნდა აღდგეს ეგზარხოვანი კოლონიური რეჟიმის მიერ ამოძრკული ქართული მართმადიდებლური ეკლესიის საღმრთისმეტყველო ღირებულებები, რომელიც ემყარებოდა მატერიალური და სულიერი სამყაროს წონასწორობითი თანაარსებობის მეცნიერულ-ღმრთისმეტყველური აზროვნების პრინციპებს.

მიკვლეული და შესწავლილი უნდა იქნეს ქართული ხალხური ქრისტიანული ტრადიციები და, განსაკუთრებით, სვანეთში დღემდე მოღწეული ქრისტიანული ფენომენი, რომელიც ეგზარხოვანი კოლონიურ ზემოქმედებას გადარჩენილი ეროვნული ქრისტიანული საგანძურია.

ხალხური მართმადიდებლური ტრადიციების შესწავლა და გამომზეურება საღმრთისმეტყველო ისტორიის იმ დარგს ეკუთვნის, რომელიც საღმრთისმეტყველო ეთნოგრაფიით განისაზღვრება და, რომელიც, ჩემ მიერ დაარსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის პროფილს ესადაგება.

ფუსტის სამხედრო-კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოს დიდი კავკასიონის მთიანეთის მკვიდრი რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მხარისათვის, წარსულში სასიცოცხლო როლს ასრულებდა ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. დღემდე მოღწეული ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების ლომის წილი სწორედ ფუსტობის წყალობით დასავლეთ საქართველოს მთიანეთზე მოდის. ამ ტრადიციას ათასწლეულებში ეძებნება საფუძველი. ქრისტეს წინარე ეპოქაში ფუსტები იცავენ წარმართულ საკულტო ობიექტებს. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, V საუკუნიდან, მეფე ვახტანგ გორგასლის დროიდან, ისენი მთლიანად გადადიან ქრისტიანულ მრწამსზე. თუმცა მკვლევარ დ. კლდიაშვილის მიერ მიკვლეული მონაცემებით, ფუსტელთა რაღაც ნაწილი მანამდეც, სავარაუდოდ ანდრია პირველწოდებულის დროიდან, იყვნენ ქრისტიანობის სამსახურში, რასაც ადასტურებს იმით, რომ 325 წელს I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დამსწრე კოლხი ეპისკოპოსი სტრატოფილე დღემდე მოღწეულ ლათინურ და სირიულ დოკუმენტებში მოიხსენიება ფუტიონელად (გაზეთი “კვირაძალი” № 9, 2006 წ., გვ. 4, “ფუსტები ქართული სიწმინდეების მცველები”, დ. კლდიაშვილი). ძველი აღთქმაც ხშირად ახსენებს მათ (დაბადება 6, 10; 10, 6; ნაუმი 3, 9; ეზეკიელი 27, 10; იერემია 46, 9). საინტერესო ის არის, რომ ძველი აღთქმა ადასტურებს ფუ(ს)ტელთა და ლევიანთა ფუნქციონალურ იდენტურობასაც (გამოსვლა 6, 25). I–VII სს. ბერძნულ წყაროებში მოხსენებული არიან დასავლეთ საქართველოს

მთიანეთში მცხოვრები ფუსტელები. მათთან არის დაკავშირებული წმ. ანდრია პირველწოდებულის და წმ. მაქსიმე აღმსარებლის, წმ. ანასტასი აპოკრისიადის ისტორია (გეორგიკა, ტ. IV. გვ. 38, 57; ტ. VI, გვ. 43). მათ ვხვდებით ხეთურ და ძველევგვიპტურ წყაროებშიც. (კულტურა დ რევნოვო ეგიპტა, თბ. 1976 წ. გვ. 92). საერთოდ, ძველი აღთქმისა და ძველი მახლობელი აღმოსავლეთის დოკუმენტები კოლხებს ფუტიელების სახელით იხსენებს (გაზ. "დიოსკურია" № 48. გვ. 6). როგორც ეთნოგრაფიულ საღმრთისმეტყველო დაკვირვებით დასტურდება, ფუ(ს)ტის არსი დღევანდელ სვანურში უზენაესი-უფლის სინონიმი და იგი ასახავს სულიწმინდის არსს. დღემდე სვანეთში შემორჩენილია სრული ქრისტიანული კანონიკით აგებული და უძველესი მართმადიდებლური ხატებით დაცული ფუსტის ტაძრები. სვანეთის სინამდვილეში ფუსტი ასახავს სულიწმინდა-სამების ქრისტიანულ არსს. ისევე, როგორც, ვთქვათ – ჯგრაგი – წმ. გიორგის; ლამარია – ღმრთისმშობელს; თარინგიზალი – მთავარანგელოზს; მაცხვარში – მაცხოვარს და სხვა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სვანეთი საღმრთისმეტყველო ეთნოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით თეთრი ლაქაა დღემდე. თუმცა საღმრთისმეტყველო ეთნოგრაფიის მიმართ სუსტი ყურადღება კომუნისტურმა ათეისტურმა მეცნიერებამაც გვარგუნა. უდაოდ, თავისი საღმრთისმეტყველო ხალხური ყოფით სვანეთი ისევე მდიდარია, როგორც მდიდარია იგი დღემდე დაურბევლად მოღწეული ქრისტიანული ტაძრებით. სვანეთი ქართული ქრისტიანული ყოფის უნიკალური საცავია, მდიდარია იგი სხვაგან უკვე უკვალოდ გამქრალი სარწმუნოებრივი ფასეულობებით. ქართული ეკლესიური ტრადიციების გადარჩენის და ბოლომდე დაცვის ასეთ მძლავრ ინსტინქტს დღეს არა თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში, ალბათ, მსოფლიოშიც ვერ ნახავთ. საღმრთისმეტყველო ისტორის ამგვარ უნიკალურობას თავისუფლათ შეიძლება ვუწოდოთ სვანური ქრისტიანული ფენომენი. ეს ფენომენი კი თავისი არსით დგას იმ დედაბოძზე, რომელიც სარწმუნოებრივი ღირებულებების გადარჩენასა და დაცვას გულისხმობდა ისტორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში და რომელსაც სვანურ ყოფაში დღემდე ფუსტობის არსით მტკიცეთ მოუღწევია. ფუსტობის შინაარსში სვანური სინამდვილის გათვალისწინებით უნდა გავარჩიოთ ორბუნებოვანი არსი. ერთი საღმრთისმეტყველო და მეორე სამხედრო-სარწმუნოებრივი ფუნქცია. ეს უკანასკნელი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რანგის ფუნქცია, საეკლესიო-სამონასტრო ობიექტების და მათი ქონების დაცვა და გადარჩენა მტრის ხელყოფისაგან, რაც სვანეთმა მართლაც ისტორიულად პირნათლად შეასრულა. რაც შეეხება საღმრთისმეტყველოს, ფუსტი სვანურში არის ქრისტიანული სარწმუნოების უზენაესი დოგმატის – სამების უმაღლესი, გონებისთვის მიუწვდომელი უფლის არსის – ამსახველი ტერმინი. იგი ყოფით ქრისტიანულ არსში განასახიერებს სამებობა-სულთმოფენობის არსს. თუმცა მას თავის შინაარსი ქონდა ქრისტიანობამდე ეპოქაშიც, როგორც კოლხთა უმაღლეს ღმრთაებას, რამაც განაპირობა კიდევ კოლხთა წინარე საფუ(ს)ტიელის არსებობაც. ამ სახელწოდებას ჩვენ ვხვდებით ძველი აღთქმის და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების უძველეს წყაროებში. სამებობა-სულთმოფენობა ფუსტის (უმაღლესი უფლის) არსით მოიაზრება სვანურ სინამდვილეში. ფრანგული სიტყვა ტამპლიერი (მეტაძრე) იგივე სვანური ფუსტელი (მეუფლე) იდენტურ ფუნქციონალურ დატვირთვას ატარებს. იდენტური არსი ამ ტრადიციებისა გვაფიქრებინებს, რომ **ზ. გამსახურდიას** თავის დროზე გამოთქმული მეცნიერული ვარაუდები მისაღებია. მას სამართლიანად მიაჩნდა ვოლფრამ ფონ ეშენბახის პარციფალი გრაალის მოძრაობის სიმბოლოდ. გრაალის მოძრაობის ფუძემდებლებად კი, ამ შემთხვევაში, ფუსტელ-ტამპლიერთა

ქართულ-ევროპული სამხედრო-სარწმუნოებრივი ქრისტიანული ორდენები იკვეთებიან. ამ ორმა ორდენმა ისტორიულ წარსულში, სათავე დაუდო აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანული სიბრძნის შერწყმას და განვითარებას, რომელიც გარკვეული ისტორიული მოვლენების გამო სრულ დავიწყებას მიეცა, და ამ დავიწყების ფარდის გადაწევა დღევანდელ ეპოქას არგუნა უფალმა. ეს ისტორია განამტკიცებს იმ ღრმა ურთიერთობას, რაც თავის დროზე არსებობდა საქართველოს და დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროს შორის. ალა იასტრებიცკაიას ავტორობით გამოცემულ წიგნში ევროპაში რაინდის კურთხევის თაობაზე ვკითხულობთ: **”მთელი ღამე კურთხევის წინ რაინდს სამრეკლოში უნდა გაეთია, გამთენიისას თავისი ია- რადი საკურთხეველზე უნდა დაეწყო, ღმრთისათვის მიექდუნა და მესის მოსმენის შემდეგ ზიარებულყო. ზოგიერთ შემთხვევაში კურთხევის ძირითად ელემენტს – ხმლის წელზე შემორტყმას – რაინდი კი აღარ აღასრულებდა, არამედ ეპისკოპოსი. კურთხევის რიტუალში უდიდეს როლს თამაშობდა ფერისა და საგნების სიმბოლიკა. რაინდს ტილოს ან აბრეშუმის თეთრ პერანგს აცმევდნენ – მისი უმწიკვლობის სიმბოლოდ, ზემოდან კი ალისფერ სიუროკს – ნიშანს სისხლისას, რომელიც ეკლესიის სახელით უნდა დაეღვარა. შოსი ყავისფერი ეცვა, რამეთუ კაცი მიწას უნდა დაბრუნებოდა; ქამარი თეთრი ეკეთა, “წელის სიწმინდის” დასტურად; ხმლის ტარი ჯვრით იყო დამშვენებული, ორღესული პირი კი – იმ სიმტკიცის და ერთგულების სიმბოლოდ ითვლებოდა, რომელიც რაინდს სუსტის ძლიერისაგან და ღარიბის მდიდრისაგან დაცვისას უნდა გამოემქდაგნებინა”** (ალა იასტრებიცკაია. XI– XIII ს.ს. დასავლეთი ევროპა. თბ., 1981 წ., გვ. 127). აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იარაღის სიმბოლო, რომელიც კურთხევის ცერემონიალს აგვირგვინებდა, – **ფუსტაკად (ფესტუცა)** იწოდებოდა (ალა იასტრებიცკაიას დასახელებული ნაშრომი გვ. 128). აქ საგულისხმოა ერთი რამ, ტამპლიერის სატიტულე მახვილს ევროპაში თუ **ფუსტაკი** ეწოდება (გაგისხენოთ ზემოთ ნათქვამი, ძველ აღთქმაში და ძველ აღმოსავლეთში კოლხების ძველი სახელი – ფუტიელი). საქართველოს მთაში იგივე ვადაჯვრიან ორღესულ მახვილს **ფრანგული** ეწოდებოდა. ხომ არ არის აქაც იმ უძველესი ქრისტიანულ-რაინდული კავშირების კვალი? ამას მომავალი კვლევები გაარკვევს. ფუ(ს)ტის საიდუმლო ორდენის შესახებ ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის იტალიელი მოგზაური **დონ ქრისტოფორო დე კასტელიც**. იგი წერს, რომ დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ მხარეს **“მრავალი ეკლესიაა, რომელიც მდიდარია უამრავი წმინდა რელიკვიებით. იმ დროს, როცა ქრისტიანები ომს აწარმოებდნენ მაჰმადიანებთან, მთებში წამოიღეს რელიკვიები, რათა არ გაენადგურებინათ ისინი”** (ბ. გიორგაძე, დონ ქრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. თბ. 1977წ.) საინტერესოა, რომ ფუსტელთა საიდუმლო ორდენს კასტელი **“იანის”, “იოანის”** უწოდებს. ამ სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის კუთვნილების დამახასიათებელი ეს ტიტული სვანურ გვარებს დღემდე ახასიათებს. კასტელი იმასაც გვამცნობს, რომ **”მათი იარაღია შუბი, ხმალი, მშვილდ-ისარი და სხვა... მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავთ, მარცხენაში ვერცხლის ჯვარი”**. ორასწლოვანი რუსული ზეგავლენით ქართულმა ქრისტიანულმა სულიერმა კულტურამ განიცადა უმძიმესი დეფორმაცია. ეროვნული მართმადიდებლური ცნობიერების მოსპობამ ქართველ ერში საფუძველი დაუდო სულიერი გენოციდის მოვლენას ისე, რომ ათასწლეულებში გამოტარებული ფუსტობის ტრადიცია, იმპერიულ-კოლონიური საიდუმლო სამსახურების მიერ დღემდე **“პუსტა-პუსტად”** არის შერაცხული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სვანურში ფუსტი – სულიწმინდის სიმბოლოა და იქ არსებული ფუსტის ჭეშმარიტი ქრისტიანული კანონიკით აგებული

ტაძრები სამების სახელობისაა. სახარებიდან ვიცით, რომ სულიწმინდის (ფუსტის) გამობა მიუტევებელ ცოდვად ითვლება. მისი “პუსტა-პუსტად” მოხსენიება სულიწმინდას გამობაა, რითაც თვალნათლივ მტკიცდება იმ სულიერი გენოციდის შედეგები რომელიც “ერთმორწმუნემ” მემკვიდრეობით გვარგუნა. საეკლესიო აჯანყების ბოლო და ტრაგიკული ბრძოლა დასრულდა 1820 წ. 3 ივნისს ფუსტელთა უძველეს ფორპოსტში, სოფელ ფუტიეთში, რითაც წერტილი დაესვა ქართული სახელმწიფოს სულიერ დამოუკიდებლობასაც. ამ ისტორიული მოვლენის გახსენება დღეს უდიდეს მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ საეკლესიო აჯანყება და ფუსტელთა კულტურის აღდგენა დღის წესრიგში აყენებს ქართული სახელმწიფოს სულიერი დამოუკიდებლობის საკითხსაც. სოფელ ფუტიეთში დაარსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმი ასახავს ფუსტელთა და 1820 წ. 3 ივნისის საეკლესიო აჯანყების ბოლო ბრძოლის ისტორიას, რომელშიც აისახა ის მედგარი წინააღმდეგობა, რომელიც ქართველმა ქრისტიანულმა მრევლმა გაუწია რუსეთის იმპერიას, ქართველი ერის სულიერი გენოციდის დაწყებისაგან თავის დასაღწევად.

ტამპლიერთა და ფუსტელთა ურთიერთობის ისტორიის შემდგომი შესწავლა და გამომზეურება, წარმოაჩენს იმ დაფარულ ფესვებს, რომელიც არსებობდა ქართველ და ევროპელ ქრისტიანებს შორის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ევროპაში არსებული ტამპლიერთა ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებები, აუცილებლად უნდა დაუშეგობრდნენ ქართველ ფუსტელთა ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას. ამით ჩვენ საფუძველს ჩავუყრით დემოკრატიის და პროგრესული ინტეგრაციის საფუძვლების განვითარებას ჩვენს შორის. ჩვენს ქრისტიანულ ისტორიას ამით ეძებნება საერთო თანაცხოვრების ძველისძველი ფესვები, რაც ასე საჭიროა დღეს ჩვენი მომავალი ურთიერთობის განვითარებისთვის. საქართველოში არსებული კათოლიკური ეკლესიის მისიონს, ამ მხრივ შეუძლია ფასდაუდებელი როლი შეასრულოს ამ უძველესი ისტორიული კავშირების შესწავლის და შემდგომი განვითარების საქმეში. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგის, ფილოსოფის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტსა და სოფელ ფუტიეთში არსებულ ფუსტელთა სკოლა-მუზეუმს, ურთიერთთანამშრომლობით, შეუძლიათ არა მარტო მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანონ ევროპული და ქართული ქრისტიანული ურთიერთობის ისტორიის შესწავლა-განვითარების საქმეში, არამედ, პერსპექტივა იქმნება, რადიკალურად და თვისობრივად სრულიად ახალ პროგრესულ შინარსამდე ამაღლონ ეს ურთიერთობანი. ამ შემთხვევაში ჩვენს კათოლიკე მეგობრებს შეუძლიათ მოწყალე სამართიების როლი შეასრულონ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის მიმართ და ამასთან ერთად დასაბამი მისცენ მოვლენათა ისეთ გონივრულ განვითარებას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გამოიხსნის ქართველ ერს ორასწლოვანი სულიერი გენოციდის პროცესიდან, რითაც საფუძველი შეგვექმნება სრულფასოვანი ქრისტიანული ურთიერთობის განვითარებისა მომავალში.

სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის
წინამძღვარი,
მამა ავთანდილ გიორგობიანი